დანართი №2

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)
ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი აიიუთი

10 - 11 დეკემბერი, 2024

დასკვნის წარდგენის თარიღი
07.01.2025

თბილისი

შინაარსი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 17

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 48

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 72

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 82

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 101

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი აიიუთი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400373902
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იოხენ ზიმერმანი, ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მედეა ჯანჯღავა, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე კალანდაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირება საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა) სამაგისტრო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე	მეექვსე	მეშვიდე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	-	-	-
სწავლების ენა	ინგლისური	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180	180	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი	ახალი

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**

  თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კლასტერი მოიცავს სამ პროგრამას: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი),ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულენოვანი) და ბიზნესის ადმინისტრირების (ლგისტიკა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული პროგრამების მიზანია კურსდამთავრებულებს შესძინოს ბიზნესის და მენეჯმენტის კომპეტენციები, რომლებიც შეესაბამება ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სამივე პროგრამა ახალია და ამჟამად, პროგრამებზე არ ირიცხებიან სტუდენტები. პროგრამები აერთიანებთ თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ უნარებთან ერთად და ფოკუსირებულია სტრატეგიულ აზროვნებაზე, ანალიტიკურ შესაძლებლობებსა და პროფესიულ განვითარებაზე.

  პროგრამები განხორციელდება ერთი ინსტიტუციური ჩარჩოს - ერთი ფაკულტეტის - ფარგლებში, გაზიარებული ტექნიკური ბაზით და ადმინისტრაციული სტრუქტურებით. პროგრამები შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და მითითებული სწავლის შედეგები უზრუნველყოფენ ბალანსს აკადემიურ ცოდნასა და პრაქტიკას შორის. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები ხორციელდება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, მათ აერთიანებთ ბიზნესგანათლება და ინსტიტუციური რესურსები, რამაც განაპირობა მათი ერთ კლასტერში დაჯგუფება. ეს მიდგომა თავისმხრივ ქმნის პროგრამებს შორის სინერგიების შექმნის შესაძლებლობას და მეორე მხრივ, მათ შორის განსხვავებულობას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამი პროგრამის აკრედიტაციის შეფასების პროცესი მოიცავდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის დეტალურ შესწავლას. თვითშეფასების ანგარიშში ასახული იყო ინფორმაცია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგებისა და უმაღლესი განათლების ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამები ახალია და მათზე არ ირიცხებიან სტუდენტები, შფასების პროცესი ძირითადად ფოკუსირებული იყო თვითშეფასების ანგარიშში აღწერილ სტრუქტურაზე, სამომავლო გეგმებსა და მხარდამჭერ სტრუქტურებზე.

  აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა უმაღლესი განათლების, პროგრამების განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისგან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა შეეფასებინა ინსტიტუციის მზაობა განახორციელოს პროგრამები აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. შეფასების პროცესი მოიცავდა თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვიზიტს, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით და უნივერსიტეტის შესაძლებლობების შესწავლას, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ეფექტურად განხორციელების და შენარჩუნების მიზნით.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრებები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან და პროგრამებთან დაკავშირებულ ბიზნეს პარტნიორებთან. სამწუხაროდ, გასაუბრებებისმონაწილე შერჩეული დაინტერესებული მხარეები არ გამოირჩეოდნენ სანდოობით. ბევრი პროფესორი და გარე პარტნიორი არასაკმარისად იყო მომზადებული და არ ფლობდა არსებით ინფორმაციას პროგრამების შესახებ. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეეფასებინა უსდ-ს აკადემიური მზაობა, ინდუსტრიასთან შესაბამისობა, და ფაკულტეტის მზაობა მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველსაყოფად.

ვიზიტი მოიცავდა თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერებას, რამაც გარკვეული წარმოდგენა შექმნა პროგრამების მატერიალურ - ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურა ფუნქციური იყო, არ შეესაბამებოდა წარმოდგენილ პროგრამებს. მაგალითად, მცირედ იყო წარმოდგენილი ან საერთოდ არ არსებობდა სპეციალიზებული რესურსები ან სივრცეები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდაპროგრამების თემატიკას.. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ უსდ-ში არ არსებობდა ის გარემო და რესურსები, რაც აუცილებელია უნივერსიტეტისთვის მაღალი დონის და შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განსახორციელებლად.

გარდა ამისა, ვიზიტის დროს, აკადემიურ პერსონალთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები არადამაჯერებელი აღმოჩნდა ექსპერტთა ჯგუფისთვის. ინტერვიუებმა გამოავლინა მცირე მტკიცებულებები პროგრამების ძლიერი აკადემიური ხელმძღვანელობის ან მათი კავშირის ინდუსტრიასთან, რაც მნიშვნელოვაია პროგრამების ხარისხისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
გასაუბრებების ფარგლებში, არათანმიმდევრულმა პასუხებმა და პროგრამის განხორციელების და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მკაფიო სტრატეგიის აშკარა არარსებობამ ეჭქვეშ დააყენა დაწესებულების მზაობა, რომ ეფექტურად განახორციელოს წრმოდგენილი პროგრამები.

აღნიშნული გამოწვევების მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა ვიზიტის განმავლობაში მეგობრული და თანამშრომლობითი გარემოს არსებობა. უნივერსიტეტის თანამშრომლები გამოხატავდნენ ღიაობას და მზაობას შეფასების პროცესში ჩასართავად და უკუკავშირის მისაღებად. თუმცა, აღნიშნული ღიაობა არ იყო საკმარისი იმ გამოვლენილი სისუსტეების დასაბალანსებლად, რაც უკავშირდება პროგრამის მომზადებას, ფაკულტეტის მზაობას და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ექსპერტთა ჯგუფის საერთო შთაბეჭდილებით, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი სამუშაო უნდა განახორციელოს აკადემიური და ოპერაციული მიმართულებებით, პროგრამების წარმატებული განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

საბოლოო ჯამში, ვიზიტის შედეგად, გამოვლინდა ის მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას - აკადემიური პერსონალის შერჩევა და მომზადება, მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბები ინდუსტრიის პატნიორებთან და ინსტიტუციური

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა გამოხატა აკრედიტაციის პროცესში ჩართვის სურვილი, სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია მთელი რიგი ქმედებების განხორციელება, რომ უსდ-მ შეძლოს საჭირო და მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფა.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ კლასტერში წარმოდგენილი სამი პროგრამა ავლენს აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სხვადასხვა დონეს:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა) და პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა) მთლიანობაში მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო სწავლების მეთოდოლოგიისა და სტუდენტთა მიღწევების მხრივ კი სრულად შეესაბამება.
თუმცა, გასაუმჯობესებელი სფეროები მოიცავს პროგრამის მიზნებს, სწავლების რესურსებს და ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობებს, რომლებიც შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა), სამაგისტრო პროგრამა) აქვს მეტი გამოწვევები სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მხრივ, რადგან ნაწილობრივ შესაბამისობაშიაპროგრამის მიზნებთან და სწავლების რესურსებთან დაკავშირებული სტანდარტების მოთხოვნებთან. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა შეესაბამება სწავლების მეთოდოლოგიის და სტუდენტთა მიღწევების სტანდარტებს, ზემოაღნიშნულ სტანდარტებში ნაწილობრივი შესაბამისობა მიუთითებს მნიშვნელოვან ხარვეზებზე, პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და სამაგისტრო საფეხურზე ადეკვატური განათლების უზრუნველყოფის მხრივ. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა მიუთითებს ამ მიმართულებითმიზნობრივი ღონისძიებების განხორციელების საჭიროებაზე.

მთლიანობაში, საბაკალავრო პროგრამები უზრუნველყოფენ მყარ საფუძველს, თუმცა სამაგისტრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა) - საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, სტანდარტის მოთხოვნებთან შესაამისობის მისაღწევად. აკრედიტაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ყველა პროგრამასთან მიმართებით, აუცილებელია პროგრამის მიზნების გადახედვა და სასწავლო რესურსების გაუმჯობესება.

- **რეკომენდაციები**

კლასტერის საერთო რეკომენდაციები

რეკომენდებულია, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ იყოს ინტეგრირებული დარგობრივი მახასიათებლები.

- რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების შემუშავების და პერიოდული გადახედვის პროცესში დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობის სტრუქტურირებული მექანიზმები.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორიცაა პოტენციური დამსაქმებლები და პროფესიული ორგანიზაციები, სწავლის შედეგების გაზიარების ფორმალური პროცესები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას.
- რეკომენდებულია, ყველა პროგრამის ფარგლებში დაინერგოს რეგულარული ინტერვალებით სწავლის შედეგების შესახებ მონაცემების განსაზღვრის, შეგროვების და ანალიზის სტანდარტიზებული პროცესი.
- რეკომენდებულია, თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს გაზომვადი ნიშნულები სისტემატური მონიტორინგის და შედარების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.
- რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს შეფასების პროცესში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების სტრუქტურირებული მექანიზმები.
- რეკომენდებულია, გამჭვირვალობის და უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ მკაფიო რუბრიკებით და დეტალური უკუკავშირით.
- რეკომენდებულია, გამჭვირვალობის და ნდობის გაძლიერების მიზნით, შემუშავდეს შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის შეფასების შედეგების გაზიარების სტრატეგიები.
- რეკომენდებულია, პროგრამების სილაბუსების გადახედვა, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდებს შორის მეტი კავშირისა და განსაკუთრებით, უნარების განვითარების მიმართულებით.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, მუდმივ და მოწვეულ პერსონალს შორის უკეთესი ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით.
- რეკომენდებულია, დარგის სპეციფიკური კომპეტენციების განვითარების მიზნით, "ბიზნესის ადმინიტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ჩატარდეს მიზნობრივი ტრენინგები.
- რეკომენდებულია, პერსონალის რეზიუმეებში აისახოს სრულყოფილი მონაცემები პუბლიკაციების, პროექტების და სხვა რელევანტური სამეცნიერო აქტივობების შესახებ.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს შესაძლებლობები პერსონალისთვის კვლევებში მონაწილეობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მათ შესაბამის დისციპლინებში ტრენინგ პროგრამების მხრივ.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს სათანადო რესურსები კვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების მიზნით, პროგრამების საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.
- რეკომენდებულია, ინვესტირება ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით ლოგისტიკის სპეციფიკური ობიექტების და საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტების სწავლის და პრაქტიკული მომზადების მხარდასაჭერად.
- რეკომენდებულია, გამჭვირვალედ და დეტალურად ჩაიშალოს მოსალოდნელი შემოსავლები, ფინანსური მდგრადობის შეფასების უზრუნველსაყოფად.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს ფინანსური სტრატეგია მარკეტინგის, აკადემიური პერსონალის და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, რომ უზრუნველყოფილი იქნას პროგრამების განვითარება და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველი თვითშეფასება პროგრამების გამოწვევების გამოვლენისა და ხარვეზების პრევენციის მიზნით (მითითებულია, 1-4 სტანდარტების აღწერილობით ნაწილში).
- რეკომენდებულია, პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით, გამოიყენოს პირდაპირი შეფასება, მესამე დონის (განმტკიცების დონე) სასწავლო კურსების კონკრეტული შეფასების კომპონენტი / აქტივობა, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგებს.

- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, სასწავლო კურსების შინაარსის, სტრუქტურის და პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისას, უნივერსიტეტმა გამოავლინოს და თავიდან აიცილოს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებაში არსებული უზუსტობები, კერძოდ, სწავლება / სწავლის, შეფასების მეთოდებში და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს, რომ სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკებში მითითებულია თუ როგორ ფასდება ჯგუფურ პროექტში სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი. შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, უნდა განახორციელონ თუ არა სტუდენტებმა ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტები კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად.
- რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს, რომ ერთი სწავლის შედეგის ჩამოყალიბებისას ზოგადი ზმნების ნაცვლად (მაგალითად "აცნობიერებს") გამოყენებული იყოს მაქსიმუმ ორი აქტიური ზმნა „ბლუმის ტაქსონომიის“ შესაბამისად. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპონენტი (მაგალითად, დამოუკიდებელი სასწავლო კომპონენტი "პრაქტიკა").

რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ინგლისურენოვანი)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი დამსაქმებლების საჭიროებების, ინდუსტრიის ტენდენციების და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი მტკიცებულებების წარმოსადგენად. აღნიშნული უნდა მოიცავდეს დამსაქმებლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან სტრუქტურირებულ კონსულტაციებს, რაც გამყარებული იქნება დოკუმენტირებული უკუკავშირით. მხოლოდ შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის სფეროსთან სპეციფიკურ შესაბამისობას, მასში გათვალისწინებული ცოდნის და უნარების განვითარების თანხვედრას რეალური სამყაროს მოთხოვნებთან და წვლილის შეტანას საზოგადოების და ინდუსტრიის განვითარებაში.
- რეკომენდებულია, ცირკულარული ეკონომიკის კურსის წინაპირობად განისაზღვროს ეკონომიკის პრინციპების კურსი.
- რეკომენდებულია, ბიზნესსამართალი ისწავლებოდეს უფრო ადრეულ სემესტრში და მის წინაპირობად განისაზღვროს - გადასახადების და დაბეგვრის კურსი.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო ინგლისური ენის კურსები, იმისათვის, რომ უსდ-მ სტუდენტებს შესთავაზოს უფრო მოქნილი შესაძლებლობები.
- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნასრომის შეფასებას დაემატოს შუალედური შეფასების კომპონენტები, რადგან საბაკალავრო ნაშრომი ფასდება მხოლოდ საბოლოო ეტაპზე.
- პროგრამის სილაბუსებში სუსტია კავშირი სწავლის შედეგსა და შეფასების მეთოდებს შორის, განსაკუთრებით უნარების განვითარების კომპონენტში, ამიტომ სილაბუსები ამ მიმართულებით გადახედვას საჭიროებს.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი დამსაქმებლების საჭიროებების, ინდუსტრიის ტენდენციების და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი მტკიცებულებების წარმოსადგენად. აღნიშნული უნდა მოიცავდეს დამსაქმებლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან სტრუქტურირებულ კონსულტაციებს, რაც გამყარებული იქნება დოკუმენტირებული უკუკავშირით. მხოლოდ შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის სფეროსთან სპეციფიკურ შესაბამისობას, მასში გათვალისწინებული ცოდნის და უნარების განვითარების თანხვედრას რეალური სამყაროს მოთხოვნებთან და წვლილის შეტანას საზოგადოების და ინდუსტრიის განვითარებაში.
- რეკომენდებულია, ცირკულარული ეკონომიკის კურსის წინაპირობად განისაზღვროს ეკონომიკის პრინციპების კურსი.
- რეკომენდებულია, ბიზნეს სამართალი ისწავლებოდეს უფრო ადრეულ სემესტრში და მის წინაპირობად განისაზღვროს - გადასახადების და დაბეგვრის კურსი.

- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნასრომის შეფასებას დაემატოს შუალედური შეფასების კომპონენტები, რადგან საბაკალავრო ნაშრომი ფასდება მხოლოდ საბოლოო ეტაპზე.
- პროგრამის სილაბუსებში სუსტია კავშირი სწავლის შედეგსა და შეფასების მეთოდებს შორის, განსაკუთრებით უნარების განვითარების კომპონენტში, ამიტომ სილაბუსები ამ მიმართულებით გადახედვას საჭიროებს.
- რეკომენდებულია, ქართული ენის ცოდნის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის აპლიკანტებისთვის, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩაირიცხონ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.

- **პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა) - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)**რეკომენდებულია, უსდ-მ ჩაატაროს შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი საქართველოში და ფართო რეგიონში ლოგისტიკის სექტორში კონკრეტული ხარვეზების და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით. მხოლოდ შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის სფეროსთან სპეციფიკურ შესაბამისობას, მასში გათვალისწინებული ცოდნის და უნარების განვითარების თანხვედრას რეალური სამყაროს მოთხოვნებთან და წვლილის შეტანას საზოგადოების და ინდუსტრიის განვითარებაში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააფორმოს ოფიციალური პარტნიორობა ლოგისტიკურ ფირმებთან და ინდუსტრიის პროფესიონალებთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს პროგრამის მიზნების რელევანტურობა და პრაქტიკული საჭიროებებით დასაბუთება.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეუსაბამოს პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიას და აკადემიურ ძლიერ მხარეებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფართო ინსტიტუციურ სტრატეგიასთან თანხვედრას.
- რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და პროფესიული სანდოობის გაძლიერების მიზნით,გათვალისწინებული იქნას დარგობრივი მახასიათებლები და გლობალური სტანდარტები. აღნიშნული რეკომენდაცია უკავშირდება "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამის მიზნებს, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დარგის სპეციფიკასთან, განსაზღვრავს კურსდამთავრებულების მოწინავე კომპეტენციებს და წარმოაჩენს მათ წვლილს ლოგისტიკის სექტორის განვითარებაში, აღიარებული გლობალური სტანდარტების მიხედვით
- რეკომენდებულია, საკონსულტაციო საბჭოების ან პარტნიორობის მეშვეობით გაფართოვდეს თანამშრომლობა ლოგისტიკის ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებთან, პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა უზრუნველყოფს, რომ პროგრამით განსაზღვრული

უნარები და კომპეტენციები შეესაბამებოდეს პროფესიულ სტანდარტებს და ეფექტურად ამზადებდეს კურსდამთავრებულებს ლოგისტიკის სექტორში მუშაობისთვის.

- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამის შეფასებები სათანადოდ ასახავდეს როგორც პრაქტიკულ, ისე კვლევით კომპეტენციებს.
- რეკომენდებულია, პრაქტიკის კომპონენტი გადატანილ იქნას არჩევით კურსებში ან დარგობრივ საკითხებში.
- რეკომენდებულია, ძირითად კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი, შესაბამისი დავალებების მეშვეობით.
- რეკომენდებულია, არსებითად გადაიხედოს პრაქტიკის სილაბუსი, დაიხვეწოს მისი შედეგი და შეფასების სისტემა მოვიდეს შესაბამისობაში კურსის შედეგთან. გარდა ამისა, შესაძლებელია პრაქტიკის კურსის არჩევით კურსებში გადატანა.
- რეკომენდებულია, ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის აპლიკანტებმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩაირიცხონ საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე,დაადასტურონ ქართული ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.
- რეკომენდებულია, პროგრამის აღწერილობაში დაკონკრეტდეს თუ რომელი საგანი ბარდება მისაღებ გამოცდაზე. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს საგამოცდო საკითხები და ლიტერატურა, რომლებიც აპლიკანტებს აძლევს შესაძლებლობას მოემზადონ სპეციალობის მისაღები გამოცდისთვის. აღნიშნული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.
- რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური საფუძვლის გაძლიერების მიზნით, დაინერგოს კვლევაზე დაფუძნებული შეფასებები, როგორიცაა ნაშრომი ან რთული მოდელირების დავალებები.
- რეკომენდებულია, ყველა შეფასება მკაფიოდ იყოს დაკავშირებული სწავლის შედეგებთან და რეგულარულად შემოწმდეს მათი ეფექტურობა.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს მკაფიო შეფასების რუბრიკები და სტუდენტებს მიეწოდოთ დეტალური უკუკავშირი მათი მოსწრების მოლოდინების გასაგებად.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს შეფასების მეთოდების რეგულარული გადახედვის და კორექტირების მექანიზმები რელევანტურობის და ხარისხის უზრუნველსაყოფად.
- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტში დაკორექტირდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა, კერძოდ გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი უარყოფით შეფასებებში და უარყოფითი შეფასებები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მინისტრის ბრძანებით და დაწესებულების სამაგისტრო დებულებით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემასთან.
- რეკომენდებულია, განხორციელდეს სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურის / არქიტექტონიკის მოდიფიცირება, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომების შესავალ ნაწილში მითითებული იყოს კვლევითი კითხვები (თვისებრივი კვლევისთვის), ჰიპოთეზა (რაოდენობრივი კვლევისთვის) და ლიტერატურის მიმოხილვა.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის მიმართულებით, მოწინავე კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრებით.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის მიმართულებით მოწინავე კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრებით.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სტრუქტურირებული გეგმა აკადემიური პერსონალის ლოგისტიკასთან დაკავშირებული ცოდნის გასაუმჯობესებლად სემინარების, კვლევითი შესაძლებლობების და ინდუსტრიის პროფესიონალებთან პარტნიორობის მეშვეობით.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

კლასტერი საერთო რჩევები

- სასურველია, გადაიხედოს დაწესებულების ელექტრონული სწავლების რეგულაციები, ელექტრონული სწავლების განათლების უახლეს საკანონმდებლო ცვლილებებთან მკაფიო შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით აკადემიურ სასწავლო გეგმაში ონლაინ სწავლების კომპონენტების აქტიური ინტეგრაციის მომზადებისას.
- სასურველია, შემუშავდეს ხელოვნური ინტელექტით გენერირებული შინაარსის შეფასების სპეციფიკური პოლიტიკა, AL პლაგიატის შესახებ კონკრეტული განმარტებებითა და შედეგებით შესაბამის სილაბუსებსა ან / და აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტებში (როგორიცაა უკვე არსებული დოკუმენტი - "როგორ აღმოვაჩინოთ და მოვახდინოთ პლაგიატზე რეაგირება").
- სასურველია, დაინერგოს კოლეგიალური მენტორობის სისტემა მიმდინარე საორიენტაციო პროგრამის ფარგლებში, სადაც სტუდენტები დაეხმარებიან პირველკურსელებს.აღნიშნული უზრუნველყოფს უწყვეტ მხარდაჭერას მთელი აკადემიური წლის განმავლობაში და ხელს შეუწყობს უსდ-ში უფრო ძლიერი სტუდენტური საზოგადოების ჩამოყალიბებას.
- სასურველია, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ელექტრონული მართვის სისტემა გაძლიერდეს მობილური აპლიკაციის ვერსიის შემუშავებით.
- სასურველია, პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობით შემუშავდეს მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები ან საზაფხულო სკოლები.
- სასურველია, გაფართოვდეს საერთაშორისო უნივერსიტეტების პარტნიორობის ქსელი სტუდენტებისთვის უფრო მრავალფეროვანი მობილობის შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.
- სასურველია, ჩამოყალიბდეს მეტი პარტნიორობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან სერვისზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, რაც გააძლიერებს სტუდენტთა პრაქტიკულ გამოცდილებას. სტუდენტების მიერ მართული საზოგადოებრივი მომსახურების ინიციატივები გააძლიერებს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ კავშირებს და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ლიდერობის შესაძლებლობებს.
- სასურველია, გფართოვდეს უნივერსიტეტის სერვისები კურსდამთავრებულთა მენტორობის ქსელის შექმნით, რაც მომავალ სტუდენტებს დააკავშირებს მათი ინტერესის სფეროში მომუშავე კურსდამთავრებულებთან. სასურველია, განვითარდეს ინდუსტრიის სპეციფიკური კარიერული მიმართულებები მიზნობრივი სემინარების, ტრენინგების და ქსელური ღონისძიებების განხორციელებით, რაც უზრუნველყოფს უფრო სპეციალიზებულ კარიერულ მომზადებას.
- სასურველია, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უნივერსიტეტმა პრიორიტეტად დაისახოს სასწავლო ოთახების მოდერნიზება. სასწავლო სივრცეების განახლება გააუმჯობესებს აკადემიურ გარემოს და ასახავს დაწესებულების მზაობას უზრუნველყოს მაღალი ხარისხის, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გამოცდილება.

რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა) - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულენოვანი)

სასურველია, უნივერსიტეტმა განიხილოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესის შუალედური შეფასების დანერგვის შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის "წინასწარი დაცვის" მეშვეობით. გარდა ამისა, ნაშრომის შესრულების შუალედურ ეტაპზე, შესაძლებელია მოკლე კითხვარის მიწოდება და/ან მაგისტრანტებთან პირდაპირი ინტერვიუების ჩატარება ნაშრომზე მუშაობის პროცესთან დაკავშირებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

არ ეხება

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა წარმოადგინა ვრცელი არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ექსპრტთა ჯგუფმა ყურადღებით განიხილა. ჩვენი რეკომენდაციების უმეტესობა სხვადასხვა დონეზე დეტალურად ასახავს პროგრამების განსხვავებულ დონეებზე მუშაობის აუცილებლობას. ჩვენ ვაღიარებთ, რომ თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს გარკვეული დოკუმენტები და პროცედურები. მონაცემების წარმოებასა და მტკიცებულების წარმოებას შორის განსხვავებაზე მითითებით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მონაცემთა შეგროვების არასისტემური ხასიათი ვერ უზრუნველყოფს სანდო მტკიცებულებების შემუშავებას, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. ეს წარმოადგენს ჩვენს ძირითად დასაბუთებას თუ რატომ ვუწევთ რეკომენდაციას პროცესებისა და პროცედურების ცვლილებებს.
მიუხედავად იმისა, რომ რთულია კონკრეტული რეკომენდაციების გამოყოფა, გვსურს მივუთითოთ 44-ე, 51-ე და 52-ე რეკომენდაციებზე. 44-ე რეკომენდაციაში მითითებულია, რომ სტუდენტებს უნდა შეეძლოთ მისაღები გამოცდისათვის მომზადება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა ასეთი მომზადების შესაძლებლობას. იგი უბრალოდ ჩამოთვლის სფეროებსა და ლიტერატურას (განსაკუთრებით საერთაშორისო ნაშრომების არარსებობის შემთხვევაში), მაგრამ არ იძლევა მითითებას საგამოცდო კითხვების მოცულობისა და სიღრმის შესახებ. 51-ე და 52-ე რეკომენდაციები მსგავსია, მაგრამ სტრუქტურულად განსხვავებული. ორივე ეხება სტანდარტის ცალკეულ კომპონენტებს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მაშინ როცა კადრები, არასაკმარისია ზოგადად (რეკომენდაცია 51), არსებობს კონკრეტული საჭიროება აკადემიურად კარგად მომზადებული პროფესორებისა, რომლებიც უხელმძღვანელებენ და ზედამხედველობას გაუწევენ მაგისტრანტ სტუდენტებს (რეკომენდაცია 52). იდეალურ შემთხვევაში, პროფესორები ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდნენ ორივე რეკომენდაციას.
ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კადრების რაოდენობის საკითხი და შესაბამისად შეცვალა დასკვნა. გარდა ამისა, ჯგუფს არ მიაჩნია, რომ კომისიის რეკომენდაციები საჭიროებს ცვლილებებს. ისინი ასახავენ ყურადღების დონეს, რომელიც აუცილებელია უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობისთვის.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
2. კლასტერის შეფასება

სტანდარტი / კომპონენტი	**შეფასების მიდგომები:**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების (ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და ბიზნესის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამა) საერთო მიზანია მისცეს სტუდენტებს აუცილებელი ცოდნა, უნარები და აღჭურვოს ეთიკური პრინციპებით. კოლექტიურად, აღნიშნული პროგრამების მიზანს წარმოადგენს შეუსაბამოს სწავლის შედეგები მათი სფეროების სპეციფიკურ მოთხოვნებს, სწავლების დონეებს და შესაბამისად, შეიტანოს წვლილი საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერის ძირითადი ძლიერი მხარეა მისი აქცენტი ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებაზე, რომლებსაც შეუძლიათ ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება,სოციალური პასუხისმგებლობითა და მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობით. . საერთო ინსტიტუციური ჩარჩო უზრუნველყოფს პროგრამების უნივერსიტეტის მისიასთან და მის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობის თანმიმდევრულობას, განსაკუთრებით ინოვაციების, ეთიკური პრაქტიკის და გლობალური ჩართულობის თვალსაზრისით.

თუმცა, კავშირი მიზნებს და დარგობრივ მოთხოვნებს შორის განსხვავებულია კლასტერში შემავალი პროგრამების შესაბამისად. მაშინ როცა "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამები უზრუნველყოფენ მკაფიო და მიღწევად მიზნებს, რომლებიც შეესაბამება სწავლების საბაკალავრო დონის მოლოდინებს, "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამა ავლენს ნაკლებ თანმიმდევრულობას, სწავლების სამაგისტრო დონეზე საჭირო კომპეტენციების თვალსაზრისით. კლასტერისთვის სასარგებლო იქნება მეტი ინტეგრაცია და თანმიმდევრულობა,

განსაკუთრებით საერთო მიზნებითა და რესურსებით პროგრამების უფრო მეტად დაკავშირება ბაზრის მოთხოვნებთან და საზოგადოებრივ გავლენასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება", ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა);

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზნების შეფასებისას გამოვლინდა როგორც პროგრამის ძლიერი მხარეები, ასევე გასაუმჯობესებელი სფეროები. ზოგადად, პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ისინი შემუშავებულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების მიზნით, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ფართო ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში. პროგრამა მჭიდროდაა დაკავშირებული დაწესებულების მისიასთან, რომელიც ხელს უწყობს გლობალური მასშტაბით კომპეტენტური კურსდამთავრებულების მომზადებას და შეაქვს წვლილი საზოგადოების განვითარებაში, ეთიკური ქცევის, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობასა და მდგრადობაზე ხაზგასმით. ეს კომპონენტები ხაზს უსვამს კარგად სტრუქტურირებული მიდგომის არსებობას სტუდენტების მოსამზადებლად, ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნეს გარემოსთვის.

პროგრამის ძლიერი მხარეა მისი შესაბამისობა სწავლის სფეროსთან. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს თანამედროვე ბიზნეს გამოწვევებს, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკისინტეგრირებას, რომ აღჭურვოს სტუდენტები გლობალური ბიზნეს პროცესების ეფექტური ანალიზისთვის საჭირო ინსტრუმენტებით. თანამედროვე მენეჯმენტის მოდელებზე, ინოვაციებსა და კვლევის მეთოდებზე ფოკუსირებით, პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მომზადებას, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ორგანიზაციულ საქმიანობაში და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ ამზადებს სტუდენტებს შრომის ბაზრისთვის, არამედ ხაზს უსვამს პროგრამის საზოგადოებრივ წვლილს, ეთიკური სტანდარტების და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნეს პრაქტიკის ხელშეწყობით.

პროგრამის მიზნები კარგად შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიას. ისინი ასახავენ უნივერსიტეტის ვალდებულებას, მოამზადონ სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ იმუშაონ სხვადასხვა ბიზნეს გარემოში, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე. პროგრამის აქცენტი ინტერნაციონალიზაციაზე კიდევ უფრო ზრდის მის მიმზიდველობას და კონკურენტუნარიანობას. ინგლისურ ენაზე სწავლების და საერთაშორისო სწავლების სტანდარტების ინტეგრირებით, პროგრამა კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ მულტიკულტურულ გარემოში და გადაჭრან გლობალური ბაზრის გამოწვევები. გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების რელევანტურობას და შესაბამისობას დამსაქმებლების და სხვა გარე პარტნიორების საჭიროებებთან.

მიუხედავად აღნიშნული ძლიერი მხარეებისა, პროგრამის მიზნების საჭიროებს დახვეწას, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის საჭიროებებს, წარმოდგენილ ანალიზს აკლია სიღრმე და სპეციფიურობა. შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი, როგორიცაა დამსაქმებლებთან კონსულტაციები ან რაოდენობრივი მაჩვენებლები, უფრო მეტად დააკავშირებდა პროგრამას შრომის ბაზრის რეალურ

მოთხოვნებთან. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა იყენებს საერთაშორისო სამიზნე ნიშნულებს, პროგრამაში არ არის მკაფიო მითითება გლობალურად აღიარებული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე, როგორიცაა AACSB ან EQUIS. აღნიშნული მითითებების გაკეთება გააძლიერებს პროგრამის სანდოობას და მის გლობალურ პოზიციას.

კიდევ ერთი გასაუმჯობესებელი სფეროა მიზნების ოპერაციონალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ნაკლებად არის დეტალიზებული თუ როგორ ხორციელდება ამ მიზნების სისტემური ინტეგრირება კურიკულუმში. მიზნების უფრო დეტალური კავშირი კონკრეტულ კურსებთან ან სასწავლო აქტივობებთან უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას და იმის დემონსტრირებას, თუ როგორ უზრუნველყოფს პროგრამა დასახული შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, პროგრამის წარმატების შესაფასებლად, მნიშვნელოვანია გაზომვადი სამიზნე ნიშნულების შემუშავება, როგორიცაა კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები, დამსაქმებლების კმაყოფილება ან სტუდენტთა უკუკავშირი. აღნიშნული არა მხოლოდ გააძლიერებს ანგარიშვალდებულებას, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის გავლენის კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენას.

ინტერნაციონალიზაციაზე მეტი ფოკუსირება, რაც რეკომენდირებულია, ხელს შეუწყობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა უცხოურ დაწესებულებებთან პარტნიორობა, სტუდენტების გაცვლითი პროგრამები ან კვლევითი თანამშრომლობა პროგრამა ამზადებს სტუდენტებს გლობალური ბაზრისთვის და ხსენებული აქტივობების განხორციელება იქნება პროგრამის საერთაშორისო ორიენტაციის ხელშესახები მტკიცებულება.

თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში ჩართულია დაინტერესებული მხარეები, თუმცა მტკიცებულებები ფორმალური უკუკავშირისა, როგორიცაა გამოკითხვები ან ინტერვიუები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, არ ყოფილა წარმოდგენილი. დაინტერესებული მხარეების აქტიური და სტრუქტურირებული ჩართულობა, პროგრამას გარე საჭიროებებზე მეტად ორიენტირებულს გახდის და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზნები მეტწილად შესაბამისობასია სტანდარტის მოთხოვნებთან. . ისინი მკაფიოა, რელევანტური და კარგად შეესაბამება დაწესებულების მისიას და საზოგადოებრივ მიზნებს. თუმცა, შრომის ბაზრის ანალიზთან, ოპერაციონალიზაციასთან, დაინტერესებული მხარეების ჩართულობასა და ინერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული გაუმჯობესებებით რაც თავისმხრივ, ხელს შეუწყობს, რომ პროგრამა მოვიდეს აკრედიტაციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში და უსდ-ს ექნება შესაძლებლობა თავისი პოზიცია, როგორც წამყვანმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, გააძლიეროს ბიზნეს ადმინისტრირების სწავლების სფეროში;.

სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა რამდენიმე კრიტერიუმით. პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია, სიცხადის და რელევანტურობის თვალსაზრისით, აკმაყოფილებს სწავლის სფეროს და საზოგადოებრივი წვლილის მიმართ მოლოდინებს. ძლიერია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიასთან შესაბამისობა, პროგრამა ავლენს ინტერნაციონალიზაციის მიმართ

ვალდებულებას. თუმცა, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი და მიზნების ოპერაციონალიზაცია წარმოადგენს გასაუმჯობესებელ სფეროებს. ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დეტალური მტკიცებულებების არარსებობა აფერხებს სრულ შესაბამისობას. გლობალური აკრედიტაციის სტანდარტებზე კონკრეტული მითითებები და ინტერნაციონალიზაციის მკაფიო მეტრიკები კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის შესაბამისობას. შეჯამების სახით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ავლენს სტანდარტებთან მნიშვნელოვან შესაბამისობას, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა უზრუნველყოფს სამომავლოდ სრულ შესაბამისობას და აამაღლებს საგანმანათლებლო სივრცეში დაწესებულების პოზიციას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზნების შეფასებისას გამოვლინდა პროგრამის ძლიერი მხარეები და ასევე, ის გასაუმჯობესებელი მხარეებიც, რა მიმართულებითაც მუშაობა მნიშვნელოვანია აკრედიტაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტურია და შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომელიც მიზნად ისახავს კომპეტენტური, გლობალური ცნობიერების მქონე სპეციალისტების მომზადებას. აღნიშნული მიზნები ორიენტირებულია აღჭურვოს სტუდენტები ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ინტეგრირებული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რაც თავისმხრივ აუცილებელია კომპლექსურ ორგანიზაციულ გარემოში სამუშაოდ.

"ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამასთან თანმიმდევრულობა. პროგრამა სტრუქტურულად იდენტურია, ითვალისწინებს კრედიტების ანალოგიურ განაწილებას, სწავლის შედეგებს და სწავლების მეთოდოლოგიებს. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს ორივე პროგრამაში მსგავსს აკადემიურ და ინსტიტუციურ სტანდარტებს. ეთიკურ ქცევაზე, კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და მდგრადობაზე ფოკუსირებით, პროგრამა ხაზს უსვამს საზოგადოების განვითარების მიმართ ვალდებულებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკასთან პროგრამის შესაბამისობას.

პროგრამის მიზნები მჭიდროდ დაკავშირებულია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან.პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტული სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ უპასუხონ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებს. თანამედროვე მენეჯმენტის მოდელების, კვლევის მეთოდების და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის უნარების ინტეგრირებით, პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კარგად მომზადებას პროფესიული გამოწვევების გადასაჭრელად. პროგრამა ქართულენოვვანია, რაც უზრუნველყოფს, რომ ფართო საზოგადოებისთვის იყოს ხელმისაწვდომი და ამასთან ერთად, ინარჩუნებს იმ მაღალ სტანდარტებს, რაც ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამას აქვს.

მიუხედავად აღნიშნული ძლიერი მხარეებისა, პროგრამა საჭიროებს გადახედვასაკრედიტაციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობის მიზნით. ინგლისურენოვანი პროგრამის მსგავსად, შრომის ბაზრის ანალიზი არ არის სიღრმისეული და აკლია სპეციფიურობა. მიუხედავად იმისა, რომ მიზნები

ითვალისწინებს შრომის ბაზრის ზოგად საჭიროებებს. დაინტერესებული მხარეების კონსულტაციების, დამსაქმებლების უკუკავშირისა და რაოდენობრივი საბაზრო მონაცემების დეტალური წარმოდგენა, პროგრამას უფრო დააკავშირებდა რეალურ მოთხოვნებთან. ანალოგიურად, პროგრამის ინტერნაციაონალიზაცია უნდა გაძლიერდეს ღია პარტნიორობით,, გაცვლითი პროგრამების ან თანამშრომლობითი ინიციატივების მეშვეობით, რაც პროგრამას უფრო მეტად დააკავშირებს გლობალურ ბიზნეს კონტექსტთან.

პროგრამის მიზნების ოპერაციონალიზაცია ასევე საჭიროებს მეტ სიცხადეს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო გეგმის კომპონენტებს, უფრო დეტალური რუკის წარმოდგენაა საჭირო იმის შესახებ თუ როგორ უწყობს ხელს ინდივიდუალური კურსები და აქტივობები მიზნების მიღწევას, რაც გაზრდის გამჭვირვალობას და სისტემატურ ინტეგრაციას. გაზომვადი სამიზნე ნიშნულების შემუშავება, როგორიცაა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები, ინდუსტრიის უკუკავშირი და კმაყოფილების კვლევები, უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებისა და გაუმჯობესებისთვის კონკრეტული ინდიკატორების შემუშავებას.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რაც ნახსენებია, არ დასტურდება ფორმალური მტკიცებულებებით, როგორიცაა გამოკითხვები, ინტერვიუები ან ფოკუს ჯგუფები. პროგრამის შემუშავების და შეფასების პროცესში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სტუდენტების აქტიური და სტრუქტურირებული ჩართულობა გააძლიერებს პროგრამის შესაბამისობას გარე საჭიროებებთან და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან. გარდა ამისა, არ არის წარმოდგენილი პროგრამის კავშირისაერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთანროგორიცაა AACSB ან EQUIS, რაც თავისმხრივ გააძლიერებდა პროგრამის სანდოობას და კონკურენტუნარიანობას.

დასკვნის სახით, "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნებთან მეტწილ შესაბამისობას. მიზნები არის მკაფიო, კარგად ჩამოყალიბებული და შეესაბამება დაწესებულების მისიას და საზოგადოებრივ მიზნებს. თუმცა, შრომის ბაზრის ანალიზთან, დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან, ინტერნაციონალიზაციასა და ოპერაციულ გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა უზრუნველყოფდა პროგრამის სრულ შესაბამისობას სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა არა მხოლოდ აამაღლებს პროგრამის აკადემიურ და პროფესიულ სტანდარდს, არამედ უზრუნველყოფს უსდ-ს, როგორც წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულების როლს, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამის მიზნების შეფასებისას გამოვლინდა პროგრამის ძლიერი მხარეები და ასევე, ის გასაუმჯობესებელი მხარეებიც, რა მიმართულებითაც მუშაობა მნიშვნელოვანია აკრედიტაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის მზარდ მნიშვნელობას, პროგრამის სტრატეგიული შესაბამისობის, რელევანტურობისა და შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრა.

პროგრამის მიზნები მიმართულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის მიმართულებით, მათთვის ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემით. აღნიშნული მიზნები ორიენტირებულია კურსდამთავრებულების აღჭურვაზე მოწინავე კომპეტენციებით ლოგისტიკის მართვის, კვლევის და სტრატეგიული პრობლემების გადაჭრის მიმართულებით. ისეთი კომპონენტების გათვალისწინება, როგორიცაა კვლევის მეთოდები, ციფრული ინოვაციები და ნაშრომის მოთხოვნა, უზრუნველყოფს ანალიტიკური და მენეჯერული უნარების განვითარებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ამბიციურია, მათ აკლია სტრატეგიული დასაბუთება. არ არის დასაბუთებული, რომ პროგრამის ლოგისტიკის მიმართულებაზე ფოკუსირება დაკავშირებულია ინსტიტუციურ პრიორიტეტებთან ან ლოგისტიკის სფეროში დაწესებულების ძლიერი გამოცდილებასთან. მყარი ინსტიტუციური გამოცდილების ან დაინტერესებული მხარეების სუკუკავშირი გარეშე, არსებობს რისკი, რომ პროგრამა აღქმული იქნება როგორც რეაქტიული და არა ხედვაზე დაფუძნებული.

პროგრამის მთავარი ძლიერი მხარეა ის, რომ პროგრამა შესაბამისობასია ლოგისტიკის გლობალიზებულ ბუნებასთან. პროგრამისმიზნები პასუხობს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს და ხაზს უსვამს ინოვაციების და მდგრადობის მნიშვნელობას. გარდა ამისა, პროგრამა აერთიანებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდოლოგიებს, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა და ჯგუფური პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს დამოუკიდებელ სწავლას და პრაქტიკულ გამოყენებას. აღნიშნული მიდგომები კშეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს და მიმართულია პროფესიონალების მომზადებაზე.

მიუხედავად აღნიშნული ძლიერი მხარეებისა, პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან აფერხებს რამდენიმე სუსტი მხარე. მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ფორმალურად ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას - ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის გათვალისწინებით, ისინი ნაკლებ დასაბუთებული და ზუსტია. პროგრამაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც პროგრამა იასხავს მიზნად სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებში. ასევე, პროგრამაში მკაფიოდ არ არის წარმოდგენილი ბალანსი თეორიულ და პრაქტიკულ გამოყენებას შორის.

ჩვეულებრივ, სამაგისტრო პროგრამა ხელს უწყობს დარგობრივი მიმართულებით კვლევისა და აზროვნების განვითარებას, ასევე სზოგადოებრივ პროგრესს. თუმცა ამის მჯტკიცებულება ნაკლებად არის წარმოდგენილი. დარგობრივ მახასიათებლებთან და გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობის ნაკლებობა ამცირებს პროგრამის სიცხადეს და სანდოობას ლოგისტიკის სფეროში. ნაკლები დასაბუთება იმისა, თუ როგორ პასუხობს პროგრამა კრიტიკულ გამოწვევებს, როგორიცაა ტექნოლოგიური ინოვაციები ან მდგრადობა, ზღუდავს პროგრამის საზოგადოებრივ წვლილს.

არასაკმარისად არის წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ლოგისტიკა არის მზარდი სფერო, დოკუმენტაციაში არ არის მითითებული პროგრამის ორიენტაციის ან მიზნების ჩამოყალიბებაში დარგის პროფესიონალების, კურსდამთავრებულების ან დამსაქმებლების მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი. აღნიშნული თანამშრომლობის ნაკლებობა აფერხებს პროგრამას, რომ ეფექტურად დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის საჭიროებები და ასუსტებს მის სტრატეგიულ დასაბუთებას. დაინტერესებული მხარეების სტრუქტურირებული კონსულტაციების გათვალისწინება, როგორიცაა

მრჩეველთა საბჭოები ან დამსაქმებელთა გამოკითხვები, მნიშვნელოვნად გააძლიერებს პროგრამის მიზნების რელევანტურობას და სანდოობას.

შრომის ბაზრის პერსპექტივიდან, მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ დონეზე ლოგისტიკა აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი დარგი, პროგრამის მიზნები არ იძლევა საკმარის მტკიცებულებას პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით, საქართველოში ან უფრო ფართო რეგიონში არსებულ საჭიროებებთან. შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი, რომელიც გამოავლენდა ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვაში არსებულ ხარვეზებს და შესაძლებლობებს, გააძლიერებდა პროგრამის შესაბამისობის დასაბუთებას. აღნიშნულ ანალიზს უნდა დაემატოს ადგილობრივ და საერთაშორისო ლოგისტიკურ ფირმებთან პარტნიორობა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მიზნების რელევანტურობა და განხორციელებადობა.

პროგრამის მიზნებს ასევე აკლია სიცხადე კურსდამთავრებულთა გაზომვადი შედეგების მიმართულებით.მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი კეთდება ლოგისტიკის სფეროში მოწინავე უნარებზე, არ არის ახსნილი თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული უნარების გარდაქმნა კონკრეტულ კარიერულ შესაძლებლობებად ან როგორ უწყობს ხელს ეს უნარებბი ლოგისტიკის დარგის განვითარებას. კურსდამთავრებულების შედეგების და წარმატების მეტრიკების მკაფიო ჩამოყალიბება გააძლიერებს ინსტიტუციურ მიზნებთან პროგრამის სტრატეგიულ პოზიციონირებას და შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითშეფასების ანგარიში;

თანდართული დოკუმენტაცია;

ადგილზე ვიზიტის დაკვირვებები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რეკომენდაციები:

პროგრამა 1 და პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები)

1. . რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი დამსაქმებლების საჭიროებების, ინდუსტრიის ტენდენციების და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი მტკიცებულებების წარმოსადგენად. აღნიშნული უნდა მოიცავდეს დამსაქმებლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან სტრუქტურირებულ კონსულტაციებს, რაც გამყარებული იქნება დოკუმენტირებული უკუკავშირით. მხოლოდ შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის სფეროსთან სპეციფიკურ შესაბამისობას, მასში გათვალისწინებული ცოდნის და უნარების განვითარების თანხვედრას რეალური სამყაროს მოთხოვნებთან და წვლილის შეტანას საზოგადოების და ინდუსტრიის განვითარებაში.

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

1. 1.რეკომენდებულია, უსდ-მ ჩაატაროს შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი საქართველოში და ფართო რეგიონში ლოგისტიკის სექტორში კონკრეტული ხარვეზების და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით. მხოლოდ შრომის ბაზრის დეტალური ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის სფეროსთან სპეციფიკურ შესაბამისობას, მასში გათვალისწინებული ცოდნის და უნარების განვითარების თანხვედრას რეალური სამყაროს მოთხოვნებთან და წვლილის შეტანას საზოგადოების და ინდუსტრიის განვითარებაში.

2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააფორმოს ოფიციალური პარტნიორობა ლოგისტიკურ ფირმებთან და ინდუსტრიის პროფესიონალებთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს პროგრამის მიზნების რელევანტურობა და პრაქტიკული საჭიროებებით დასაბუთება.
3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეუსაბამოს პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიას და აკადემიურ ძლიერ მხარეებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფართო ინსტიტუციურ სტრატეგიასთან თანხვედრას.
4. რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და პროფესიული სანდოობის გაძლიერების მიზნით,გათვალისწინებული იქნას დარგობრივი მახასიათებლები და გლობალური სტანდარტები. აღნიშნული რეკომენდაცია უკავშირდება "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამის მიზნებს, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დარგის სპეციფიკასთან, განსაზღვრავს კურსდამთავრებულების მოწინავე კომპეტენციებს და წარმოაჩენს მათ წვლილს ლოგისტიკის სექტორის განვითარებაში, აღიარებული გლობალური სტანდარტების მიხედვით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	x	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისას გამოვლინდა საერთო ძლიერი და სუსტი მხარეები. პროგრამების მიზანია მოამზადოს და აღჭურვოს კურსდამთავრებულები აუცილებელი თეორიული ცოდნით, პრაქტიკული უნარებით და ეთიკური ცნობიერებით, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზრის და აკადემიურ მოთხოვნებს. სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია პიროვნული და პროფესიული განვითარების შესაბამისად, კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით.

სამივე პროგრამაში სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამებით განსაზღვრულ მიზნებს და მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს და ავტონომიურობას. ისინი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად განსაზღვრულ კვალიფიკაციის დონეებს. თუმცა, პროგრამების საერთო გამოწვევაა, რომ პროგრამები სრულყოფილად არ ითვალისწინებენ დარგობრივ მახასიათებლებს, დაინტერესებული მხარეები შეზღუდულად არიან ჩართულნი პროგრამების განვითარებაში და ნაკლებგანვითარებულია კომუნიკაციის მექანიზმები გარე დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლისს შედეგების გავრცელებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია შეფასების მეთოდები, პროგრამებში არ არის ჩამოყალიბებული შედეგების მიღწევის შეფასების ფორმალიზებული სამიზნე ნიშნულები და დაინტერესებულ მხარეებთან არ ხორციელდება სისტემატური კონსულტაციები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

"ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზანია გადასცეს კურსდამთავრებულებს ბიზნესის ფართო ცოდნა, გამოუმუშავოს ანალიტიკური უნარები და ჩამოუყალიბოს ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობების ცნობიერება. პროგრამა ხაზს უსვამს

ისეთ კომპეტენციებს, როგორიცაა ბიზნეს ანალიზი, სტრატეგიული დაგეგმვა და კრიტიკული აზროვნება, რომელიც ორიენტირებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები კარგად შეესაბამება მის მიზნებს და ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს, არ არსებობს იმის საკმარისი მტკიცებულება, თუ როგორ ხორციელდება მათი შედარება ბიზნესის სფეროს სპეციფიკურ საერთაშორისო სტანდარტებთან. არასაკმარისად არის გამოყენებული სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის შედეგების გაზიარება არაადეკვატურია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკლავრო პროგრამა)

"ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს სძენს თეორიულ ცოდნასა და გამოყენებით ბიზნესუნარებს, რომლებიც მორგებულია ქართულ ბიზნეს გარემოზე. სწავლის შედეგები მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმვას, ბაზრის ანალიზს და ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ ეკონომიკაში კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას.

პროგრამის შედეგები წარმატებით არის მორგებული საქართველოს ბიზნეს საჭიროებებზე, მაგრამ ინგლისურენოვანი პროგრამის მსგავსად, მასში არასათანადოდ არის წარმოდგენილი დარგობრივ მახასიათებლებთან ფორმალური შესაბამისობა. არასაკმარისია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და არათანმიმდევრულია სწავლის შედეგების გავრცელება გარე აუდიატორიასთან, კერძოდ დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

"ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამის მიზანია ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის სფეროში მაღალი კომპეტენციების განვითარება, სადაც აქცენტი კეთდება კვლევით შესაძლებლობებზე, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებასა და ლოგისტიკური გამოწვევების მიმართ ინოვაციურ გადაწყვეტილებებზე.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დასახულ მიზნებს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს. თუმცა, პერსონალის ფორმალიზებული ტრენინგების არარსებობა და კონკრეტული ნიშნულების ნაკლებობა ხელს უშლის პროგრამის შეფასების პროცესის ეფექტურად განხორციელებას. შეზღუდულია ლოგისტიკის ინდუსტრიის დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რაც ამცირებს პროგრამის შესაძლებლობას უპასუხოს შრომის ბაზრის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია;
- დაკვირვება ადგილზე ვიზიტის დროს.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ იყოს ინტეგრირებული დარგობრივი მახასიათებლები.
2. რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების შემუშავების და პერიოდული გადახედვის პროცესში დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობის სტრუქტურირებული მექანიზმები.
3. რეკომენდებულია, შემუშავდეს გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორიცაა პოტენციური დამსაქმებლები და პროფესიული ორგანიზაციები, სწავლის შედეგების გაზიარების ფორმალური პროცესები, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საკონსულტაციო საბჭოების ან პარტნიორობის მეშვეობით გაფართოვდეს თანამშრომლობა ლოგისტიკის ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებთან, პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა უზრუნველყოფს, რომ პროგრამით განსაზღვრული უნარები და კომპეტენციები შეესაბამებოდეს პროფესიულ სტანდარტებს და ეფექტურად ამზადებდეს კურსდამთავრებულებს ლოგისტიკის სექტორში მუშაობისთვის.

რჩევები: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☐	x	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების - "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო

პროგრამების - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ჯერ ისევ განვითარების პროცესშია, რაც ასახავს დაწესებულების, როგორც ახლად ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის სტატუსს, სადაც ამ ეტაპზე არ ირიცხებიან სტუდენტები. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა კონტინგენტის არარსებობა ზღუდავს აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკულ განხორციელებას, უნივერსიტეტი შეეცადა შეემუშავებინა შეფასების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება მის გაცხადებულ მიზნებს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს.

ყველა პროგრამაში გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების კომბინაცია, მათ შორის წერითი გამოცდები, შემთხვევების ანალიზი, პროექტები და პრეზენტაციები. თუმცა, აღნიშნული მეთოდების ეფექტურობის შეფასების მექანიზმები, განსაკუთრებით ფორმალიზებული შეფასების ციკლის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის თვალსაზრისით, კვლავ არასაკმარისად არის განვითარებული. უნივერსიტეტის განვითარების ადრეული ეტაპი იძლევა საშუალებას ჩამოყალიბდეს ინსტიტუციური ჩარჩო პროგრამების განვითარებისთვის, თუმცა გამოვლენილი ხარვეზები საჭიროებს მეტ ყურადღებას, რომ უსდ მზად იყოს პროგრამების განსახორციელებლად.

ყველა პროგრამაში გარე დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, შეფასების პროცესში მინიმალურადაა ჩართული. ასევე, შეზღუდულია დაინტერესებული მხარეებისთვის შეფასების შედეგების გაცნობა, რაც ამცირებს გამჭვირვალობას და თანამშრომლობის შესაძლებლობებს. აღნიშნული სისტემური ხარვეზები გასაგებია განვითარების ადრეულ ეტაპზე, მაგრამ აუცილებლად უნდა გადაიჭრას პროგრამების განვითარების შესაბამისად.

საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება", ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა);

"ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებულია სტრუქტურირებული შეფასების სისტემა, რომელიც შექმნილია სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა გამოცდები, პროექტები და პრეზენტაციები. აღნიშნული მეთოდები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს. თუმცა, ვინაიდან პროგრამაზე ჯერ არ ირიცხებიან სტუდენტები, რეალური შედეგების საფუძველზე შეფასებების მონიტორინგის და კორექტირების მექანიზმები ჯერ კიდევ თეორიულ დონეზეა.

უნივერსიტეტი შეეცადა შეემუშავებინა შეფასებები, რომლებიც უკავშირდება კურსის სპეციფიკურ სწავლის შედეგებს, თუმცა არ არსებობს ფორმალიზებული პროცესის საკმარისი მტკიცებულება,

რომელიც უზრუნველყოფს სისტემურ შესაბამისობას. მინიმალურია შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, არ არსებობს სტრუქტურირებული მექანიზმები დამსაქმებლების ან კურსდამთავრებულების უკუკავშირის გასათვალისწინებლად. ასევე, არ არსებობს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სამიზნე ნიშნულები, რაც ზღუდავს პროგრესის ეფექტურად გაზომვის შესაძლებლობას. მიმდინარე ეტაპზე პრაქტიკული განხორციელების არარსებობა იძლევა აღმიშნული მექანიზმების დახვეწის შესაძლებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკლავრო პროგრამა)

"ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამას გააჩნია ინგლისურენოვანი პროგრამის მსგავსი სტრუქტურა, მათ შორის კურსის სპეციფიკურ მიზნებზე მორგებული შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების საფუძველს, პროგრამას გააჩნია ინგლისურენოვანი ანალოგის მსგავსი გამოწვევები ფორმალიზებული შეფასების ციკლის ჩამოყალიბების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების თვალსაზრისით.

პროგრამაში არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და სისტემური მონიტორინგის პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასებებს და შედეგებს შორის შესაბამისობას. "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი პროგრამის მსგავსად, მნიშვნელოვანია ქართულენოვან პროგრამაშიც შემუშავდეს დაინტერესებული მხარეებისთვის შეფასების შედეგების გაზიარების უფრო მკაფიო საკომუნიკაციო სტრატეგიები. პროგრამის განვითარების ეტაპი წარმოადგენს გაუმჯობესებების პროაქტიულად გათვალისწინების შესაძლებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

"ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამას აქვს მნიშვნელოვაინ პოტენციალი, თუმცა დგას გამოწვევების წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა წერითი დავალებები, შემთხვევების ანალიზი და ნაშრომების შეფასება, აღნიშნული მეთოდები არ პასუხობს სამაგისტრო დონეზე არსებულ აკადემიურ და სამეცნიერო მოთხოვნებს. პროგრამა არასიღმისეულად იყენებს პრაქტიკულ და კვლევაზე-ორიენტირებულ შეფასებებს.

ფორმალიზებული შეფასების ციკლის არარსებობა ზღუდავს შედეგების სისტემატურ მონიტორინგსა და გაზომვას. სუსტია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, არ არსებობს დამსაქმებლებთან ან კურსდამთავრებულებთან სტრუქტურირებული თანამშრომლობაარ არის ჩამოყალიბებული შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და არასაკმარისად არის განვითარებული სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების მექანიზმები. თუმცა, პროგრამის ადრეული ეტაპი იძლევა აღნიშნული მექანიზმების გააზრებულად განვითარების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას როგორც აკადემიურ, ისე დარგობრივ სტანდარტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- თანდართული დოკუმენტაცია;
- ადგილზე ვიზიტის დაკვირვებები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1.რეკომენდებულია, ყველა პროგრამის ფარგლებში დაინერგოს რეგულარული ინტერვალებით სწავლის შედეგების შესახებ მონაცემების განსაზღვრის, შეგროვების და ანალიზის სტანდარტიზებული პროცესი.

2.რეკომენდებულია, თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს გაზომვადი ნიშნულები სისტემატური მონიტორინგის და შედარების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

3.რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს შეფასების პროცესში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების სტრუქტურირებული მექანიზმები.

4.რეკომენდებულია, გამჭვირვალობის და უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ მკაფიო რუბრიკებით და დეტალური უკუკავშირით.

5.რეკომენდებულია, გამჭვირვალობის და ნდობის გაძლიერების მიზნით, შემუშავდეს შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის შეფასების შედეგების გაზიარების სტრატეგიები.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამის შეფასებები სათანადოდ ასახავდეს როგორც პრაქტიკულ, ისე კვლევით კომპეტენციებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	☐	**x**	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან. შემუშავების პროცესში ჩართულია მრავალი დაინტერესებული მხარე, მათ შორის აკადემიური პერსონალი,

მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და თანამშრომლობით მიდგომას.

პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული პროგრამა მოიცავს კურსების და კომპონენტების მკაფიო თანმიმდევრობას, რომლებიც დაშენებულია ერთმანეთზე და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ საგანმანათლებლო გამოცდილებას. პროგრამები დაყოფილია სავალდებულო და არჩევით კომპონენტებად, თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შორის შესაბამისი ბალანსის დაცვით.

პროგრამების შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების შესაბამის საფეხურს. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამები შექმნილია ბიზნესის ადმინისტრირებაში ფართო ცოდნის და პრაქტიკული უნარების უზრუნველსაყოფად, ხოლო სამაგისტრო პროგრამები ორიენტირებულია ლოგისტიკის მიმართულებით სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნაზე.

პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად. თითოეული პროგრამა განსაზღვრავს ECTS კრედიტების რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო დატვირთვის შესაბამისობას და მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები მკაფიოდაა განსაზღვრული და შეესაბამება პროგრამების მიზნებს, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების აღჭურვას აუცილებელი ცოდნით, უნარებით და კომპეტენციებით.

ძირითადი სწავლის სფეროს კონცენტრაციის ან მოდულის (არსებობის შემთხვევაში) სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფს, რომ პროგრამის ყველა კომპონენტი ხელს უწყობს დასახული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული. თითოეული ინდივიდუალური კურსი შექმნილია საერთო სწავლის შედეგების მისაღწევად და მკაფიოდ არის განსაზღვრული ერთი კომპონენტიდან მეორე კომპონენტზე გადასვლა. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების შეუფერხებელ გადასვლას.

პროგრამებში გათვალისწინებულია ახალი კვლევითი მიგნებები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები. აღნიშნული ასახულია თანამედროვე ლიტერატურის, სწავლების თანამედროვე მეთოდების და სასწავლო გეგმაში დარგის მიმდინარე პრაქტიკის გათვალისწინებით.

პროგრამების შინაარსი, სწავლის სფეროს სპეციფიკის და პროგრამის დონის გათვალისწინებით, ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის საკვანძო საკითხებს. აღნიშნული მოიცავს უცხოელი პროფესორების ჩართულობას, სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს და სასწავლო გეგმაში გლობალური პერსპექტივების გათვალისწინებას.

პროგრამის განვითარება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ერთვება ყველა დაინტერესებული მხარე. აკადემიური, კვლევითი და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ჩართულნი არიან პროგრამების განვითარების და მუდმივი გაუმჯობესების პროცესებში. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების რელევანტურობას და დარგის და საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირებას.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის მიზნები, სწავლის შედეგები, მიღების მოთხოვნები და კურსების აღწერილობები, ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ - გვერდზე და სხვა საჯარო პლატფორმებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება", ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა);

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უსდ - ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან პროგრამის შესაბამისობას. შემუშავების პროცესში ჩართულია მრავალი დაინტერესებული მხარე, მათ შორის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და თანამშრომლობით მიდგომას. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს კურსების და კომპონენტების მკაფიო თანმიმდევრობას, რომლებიც დაშენებულია ერთმანეთზე და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ საგანმანათლებლო გამოცდილებას. პროგრამა დაყოფილია სავალდებულო და არჩევით კომპონენტებად, სადაც დაცულია ბალანსი თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შორის.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების შესაბამის საფეხურს. საბაკალავრო პროგრამა შექმნილია ბიზნესის ადმინისტრირების ფართო ცოდნის და პრაქტიკული უნარების გადასაცემად.

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად. ის მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო დატვირთვის შესაბამისობას და მინიჭებული კვალიფიკაციის აღიარებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები - 165 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტები - 10 კრედიტი;
- ზოგადი არჩევითი სავალდებულო კომპონენტი - 5 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მის ინდივიდუალურობას, დარგობრივი მახასიათებლის საკითხების დაფარვით, ამავდროულად პროგრამა ხაზს უსვამს ლოგისტიკას, მიწოდების ჯაჭვის მართვას, პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომს, რომელსაც მინიჭებული აქვს 10 კრედიტი და პროექტის მართვას, რომლისთვისაც განსაზღვრულია 10 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

ძირითადი სწავლის სფეროს კონცენტრაციის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს.

თუმცა არსებობს რამდენიმე მცირე ხარვეზი: მეექვსე სემესტრში ცირკულარული ეკონომიკა წარმოდგენილია არჩევითი საგანის სახით და არ გააჩნია წინაპირობა. ექსპერტებს ესმით, რომ მეექვსე სემესტრში სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ეკონომიკის პრინციპების კურსი, თუმცა მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კურსის წინაპირობად განსაზღვრული უნდა იყოს ეკონომიკის კურსი.

პროგრამაში კარგად არის წარმოდგენილი ბიზნეს სამართლის კომპონენტი, კურსები 1. ბიზნეს სამართალი და 2. გადასახადები და დაბეგვრა გათვალისწინებულია ერთად მეოთხე სემესტრში. რეკომენდებულია, ბიზნეს სამართალი ისწავლებოდეს უფრი ადრეულ სემესტრში და მის წინაპირობად განისაზღვროს გადასახადების და დაბეგვრის კურსი.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია და სტუდენტები მიიღებიან ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონით, არის ისეთი კურსები, როგორიცაა ინგლისური ენა B2, ბიზნეს ინგლისური 1, ბიზნეს ინგლისური 2 და აკადემიური წერა და კრიტიკული აზროვნება, რომლებიც უნდა გადამუშავდეს სტუდენტებისთვის უფრო მოქნილი შესაძლებლობების შესათავაზებლად.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული. თითოეული ინდივიდუალური კურსი შექმნილია საერთო სწავლის შედეგების მისაღწევად და მკაფიოდ არის განსაზღვრული ერთი კომპონენტიდან მეორე კომპონენტზე გადასვლა.

პროგრამა ითვალისწინებს ახალ კვლევით მიგნებებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. აღნიშნული ასახულია თანამედროვე ლიტერატურის, სწავლების თანამედროვე მეთოდების და სასწავლო გეგმაში დარგის მიმდინარე პრაქტიკის გათვალისწინებით.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის საკვანძო საკითხებს, სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს და სასწავლო გეგმაში გლობალური პერსპექტივების ჩართვას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკლავრო პროგრამა)

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია უსდ - ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან პროგრამის შესაბამისობას. შემუშავების პროცესში ჩართულია მრავალი დაინტერესებული მხარე, მათ შორის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და თანამშრომლობით მიდგომას. პროგრამის

სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს კურსების და კომპონენტების მკაფიო თანმიმდევრობას, რომლებიც დაშენებულია ერთმანეთზე და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ საგანმანათლებლო გამოცდილებას. პროგრამა დაყოფილია სავალდებულო და არჩევით კომპონენტებად, სადაც დაცულია ბალანსი თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შორის. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების შესაბამის საფეხურს. საბაკალავრო პროგრამა შექმნილია ბიზნესის ადმინისტრირების ფართო ცოდნის და პრაქტიკული უნარების გადასაცემად.

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად. ის მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო დატვირთვის შესაბამისობას და მინიჭებული კვალიფიკაციის აღიარებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები - 165 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტები - 10 კრედიტი;
- ზოგადი არჩევითი სავალდებულო კომპონენტი - 5 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მის ინდივიდუალურობას იმით, რომ მოიცავს დარგობრივი მახასიათებლის საკითხებს და ამავდროულად ხაზს უსვამს ლოგისტიკას, მიწოდების ჯაჭვის მართვას, პროგრამაში გათვალისწინებულია 10 კრედიტის მოცულობის საბაკალავრო ნაშრომი და პროექტის მართვა, რომლისთვისაც განსაზღვრულია 10 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

ძირითადი სწავლის სფეროს კონცენტრაციის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს.

თუმცა არსებობს რამდენიმე მცირე ხარვეზი: მეექვსე სემესტრში ცირკულარული ეკონომიკა წარმოდგენილია არჩევითი საგანის სახით და არ გააჩნია წინაპირობა. ექსპერტებს ესმით, რომ მეექვსე სემესტრში სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ეკონომიკის პრინციპების კურსი, თუმცა მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კურსის წინაპირობად განსაზღვრული უნდა იყოს ეკონომიკის კურსი.

პროგრამაში კარგად არის წარმოდგენილი ბიზნეს სამართლის კომპონენტი, კურსები 1. ბიზნეს სამართალი და 2. გადასახადები და დაბეგვრა გათვალისწინებულია ერთად მეოთხე სემესტრში. რეკომენდებულია, ბიზნეს სამართალი ისწავლებოდეს უფრი ადრეულ სემესტრში და მის წინაპირობად განისაზღვროს გადასახადების და დაბეგვრის კურსი.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული. თითოეული ინდივიდუალური კურსი შექმნილია საერთო სწავლის შედეგების მისაღწევად და მკაფიოდ არის განსაზღვრული ერთი კომპონენტიდან მეორე კომპონენტზე გადასვლა.

პროგრამა ითვალისწინებს ახალ კვლევით მიგნებებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. აღნიშნული ასახულია თანამედროვე ლიტერატურის, სწავლების თანამედროვე მეთოდების და სასწავლო გეგმაში დარგის მიმდინარე პრაქტიკის გათვალისწინებით.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის საკვანძო საკითხებს, სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს და სასწავლო გეგმაში გლობალური პერსპექტივების ჩართვას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

"ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უსდ - ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან პროგრამის შესაბამისობას.

პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს კურსების და კომპონენტების მკაფიო თანმიმდევრობას, რომლებიც დაშენებულია ერთმანეთზე და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ საგანმანათლებლო გამოცდილებას.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლების შესაბამის საფეხურს. სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ლოგისტიკაში სიღმისეული და სისტემური ცოდნის უზრუნვესაყოფად.

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რაც უზრუნველყოფს სათანადო დატვირთვას და მინიჭებული კვალიფიკაციის აღიარებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამაში 115 კრედიტი არის სავალდებულო და 5 კრედიტი არის არჩევითი. სავალდებულო კურსები მოიცავს ბიზნეს კომუნიკაციას, აკადემიურ წერას, კვლევის მეთოდებს ლოგისტიკაში, ინოვაციების მართვას, ციფრულ ტრანსფორმაციას, მენეჯერების რაოდენობრივ მომზადებას, სტრატეგიულ საბაზრო მენეჯმენტს, ადამიანური რესურსების მართვას, ლოგისტიკის მართვას, გლობალური ბიზნესის და მარკეტინგულ სტრატეგიებს, ოპერაციული მენეჯმენტის პროცესებს და მიწოდების ჯაჭვის მართვას, ლოგისტიკური ბიზნესის შეფასებას, ლოგისტიკის სტრატეგიულ მართვას, მწვანე ლოგისტიკას, პროექტების მართვას ლოგისტიკაში, პრაქტიკას ლოგისტიკაში და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.

პროგრამა არის სამაგისტრო დონის, სტუდენტების უმეტესობა უკვე მუშაობს, შესაბამისად პრაქტიკა ლოგისტიკაში არ უნდა იყოს სავალდებულო. ვიანიდან სასწავლო გეგმა უკვე ითვალისწინებს კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკული უნარების განვითარებას, აღნიშნული კრედიტი უმჯობესია დაიხარჯოს არჩევით კურსებზე ან კურსებზე, რომლებიც გააძლიერებენ პროგრამას ლოგისტიკის

მიმართულებით. მაგალითად, აღნიშნული კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების ფორმებს - INCOTERMS და საბაჟო პროცედურებს ან დაბეგვრას და ფინანსურ ანგარიშგებას მენეჯერებისთვის. პრაქტიკული საკითხების გასაძლიერებლად შესაძლებელია დაინერგოს მაღალი შეფასების დავალებები, მაგალითად ნებისმიერ კურსში 40% ან 30%, სავალდებულო შეფასებით 50% ან მეტი. ასეთი საგნები შეიძლება იყოს პროექტების მართვა ლოგისტიკაში, ლოგისტიკური ბიზნესის შეფასება და კვლევის მეთოდები ლოგისტიკაში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მის ინდივიდუალურობას. პროგრამა მორგებულია ლოგისტიკის მიმართულებით სწავლის სფეროს და სამიზნე აუდიტორიის სპეციფიკურ საჭიროებებზე.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

ძირითადი სწავლის სფეროს კონცენტრაციის ან მოდულის (არსებობის შემთხვევაში) სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული. თითოეული ინდივიდუალური კურსი შექმნილია საერთო სწავლის შედეგების მისაღწევად და მკაფიოდ არის განსაზღვრული ერთი კომპონენტიდან მეორე კომპონენტზე გადასვლა.

პროგრამა ითვალისწინებს ახალ კვლევით მიგნებებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. აღნიშნული ასახულია თანამედროვე ლიტერატურის, სწავლების თანამედროვე მეთოდების და სასწავლო გეგმაში დარგის მიმდინარე პრაქტიკის გათვალისწინებით.

პროგრამის განვითარება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ერთვება ყველა დაინტერესებული მხარე. პროგრამის შემუშავების და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესებში ჩართული არიან აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ - გვერდზე და სხვა საჯარო პლატფორმებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (ინგლისურენოვანი);
- "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;

- ხარისხის მართვის პოლიტიკა (დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგია და პროცედურები, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესი);
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებები;
- ვებ-გვერდი:https://iut.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირება", ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა);

რეკომენდაციები:

- ინდუსტრიის განვითარებაში.
- რეკომენდებულია, ცირკულარული ეკონომიკის კურსის წინაპირობად განისაზღვროს ეკონომიკის პრინციპების კურსი.
- რეკომენდებულია, ბიზნესსამართალი ისწავლებოდეს უფრო ადრეულ სემესტრში და მის წინაპირობად განისაზღვროს - გადასახადების და დაბეგვრის კურსი.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო ინგლისური ენის კურსები, იმისათვის, რომ უსდ-მ სტუდენტებს შესთავაზოს უფრო მოქნილი შესაძლებლობები.

რჩევები: არ არის მითითებული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკლავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, ცირკულარული ეკონომიკის კურსის წინაპირობად განისაზღვროს - ეკონომიკის პრინციპების კურსი.

2. რეკომენდებულია, ბიზნეს სამართალი ისწავლებოდეს უფრო ადრეულ სემესტრში და მის წინაპირობად განისაზღვროს გადასახადების და დაბეგვრის კურსი.

რჩევები: არ არის მითითებული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პრაქტიკის კომპონენტი გადატანილ იქნას არჩევით კურსებში ან დარგობრივ საკითხებში.
რეკომენდებულია, ძირითად კურსებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი, შესაბამისი დავალებების მეშვეობით.

რჩევები: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინიტრირება" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირება" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა)	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)	☐	x	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსი/საგანი და მისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების/საგნების შინაარსი და სწავლის შედეგები უმეტესად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების/საგნების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსი შექმნილია, რათა ხელი შეუწყოს პროგრამის მიერ განსაზღვრული მთლიანი კომპეტენციების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი ძირითადად შეესაბამება მის სპეციფიკურ სწავლის შედეგებს. კურსები რეგულარულად განახლდება, რათა ასახოს სფეროში არსებული უახლესი ტენდენციები და კვლევები. თითოეულ კურსზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო (ლექციები, სემინარები) და დამოუკიდებელი სასწავლო საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს თითოეული კურსის თავისებურებებს. საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების უმეტესობა ფასდება სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის გამოცდებით, პროექტებით, პრეზენტაციებითა და შემთხვევის შესწავლით. შეფასების მეთოდები ძირითადად უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეძლონ მასალის გაგებისა და გამოყენების დემონსტრირება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ინგლისურენოვანი

თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს, ჯამში 180 ECTS კრედიტით. კურსების უმეტესობა 5 ECTS კრედიტიანია, ხოლო საბაკალავრო ნაშრომი და პროექტების მენეჯმენტი მოიცავენ 10 კრედიტს. პროგრამა სტრუქტურირებულია, რათა უზრუნველყოს ბიზნესის ადმინისტრირების კომპლექსური გაგების მიწოდება და ფარავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და ოპერაციები.

თითოეული კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან. მაგალითად, ბიზნესის მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების კურსები შექმნილია, რათა განავითაროს სტრატეგიული დაგეგმვის, ბაზრის ანალიზისა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების უნარები.

თითოეული კურსი ხელს უწყობს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები მზად იყვნენ ბიზნეს სამყაროს მოთხოვნებისთვის.

კურსების შინაარსი მორგებულია მათი სპეციფიკური სწავლის შედეგების მიღწევაზე. მაგალითად, ბიზნესის მენეჯმენტის კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ორგანიზაციული ქცევა, ლიდერობა და სტრატეგიული მენეჯმენტი, რაც აუცილებელია კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად.

არსებობს რამდენიმე მაგალითი, სადაც კურსის სწავლის შედეგების მიღწევა და სწორი შეფასება ვერ ხერხდება სილაბუსის გეგმასთან შესაბამისობაში:

> მაგალითად: კურსი ფინანსური აღრიცხვა - სილაბუსის ერთ-ერთი შედეგია: "განსაზღვრავს ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების ოდენობას და აღრიცხავს მას." თუმცა, კურსის გეგმაში აღნიშნულია მხოლოდ ერთი კვირის თემა - გადასახდელი ვალდებულებები (რომელიც მოიცავს ვალდებულებების წარმოქმნასა და კლასიფიცირებას; მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა: სავაჭრო-საკრედიტო ვალდებულებების აღრიცხვა; მოკლევადიანი გადასახდელი ვალდებულებების აღრიცხვა; მიღებული ავანსებისა და დაბრუნებადი დეპოზიტების აღრიცხვა. დარიცხული ვალდებულებების აღრიცხვა: მიღებული გადასახდელი ვალდებულებების აღრიცხვა; მიღებული ავანსების აღრიცხვა; საგარანტიო ვალდებულებების აღრიცხვა; საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა. გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა). შესაბამისად, ეს შედეგი სრულყოფილად ვერ მიიღწევა და ვერ შეფასდება კურსის განმავლობაში. ამ შედეგს პროგრამის შედეგებზე მაღალი გავლენა არ აქვს, თუმცა სილაბუსები უნდა გადაიხედოს მსგავსი ხარვეზების თავიდან ასაცილებლად.

საბაკალავრო ნაშრომი მხოლოდ საბოლოო ფაზაზე ფასდება, რაც საჭიროებს შეფასების შუალედური კომპონენტის დამატებას საბოლოო შეფასების პარალელურად.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი ფასდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის გამოცდებით, პროექტებით, პრეზენტაციებითა და შემთხვევის შესწავლით. ეს ძირითადად უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეძლონ მასალის გაგებისა და გამოყენების დემონსტრირება. თუმცა, პროგრამის სილაბუსებში სუსტი კავშირია სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის, განსაკუთრებით უნარების განვითარების კომპონენტში, რის გამოც საჭიროა სილაბუსების გადახედვა ამ მიმართულებით.

საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად განახლდება, რათა ასახოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული უახლესი ტენდენციები და კვლევები. თითოეულ კურსზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო (ლექციები, სემინარები) და დამოუკიდებელი სასწავლო საათების თანაფარდობა დაბალანსებულია, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საკმარისი დრო მასალის ასათვისებლად და მის პრაქტიკაში გამოსაყენებლად. სილაბუსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შერჩეულია კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად. ამ რესურსებში შედის სახელმძღვანელოები, აკადემიური ჟურნალები და მონაცემთა ონლაინ ბაზები. სასწავლო მასალები განახლებულია და ასახავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უახლეს კვლევებსა და განვითარებებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ქართულენოვანი

თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს, ჯამში 180 ECTS კრედიტით. კურსების უმეტესობა 5 ECTS კრედიტიანია, ხოლო საბაკალავრო ნაშრომი და პროექტების მენეჯმენტი მოიცავენ 10 კრედიტს. პროგრამა სტრუქტურირებულია, რათა უზრუნველყოს ბიზნესის ადმინისტრირების კომპლექსური გაგების მიწოდება და ფარავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და ოპერაციები.

თითოეული კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან. მაგალითად, ბიზნესის მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების კურსები შექმნილია, რათა განავითაროს სტრატეგიული დაგეგმვის, ბაზრის ანალიზისა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების უნარები.

თითოეული კურსი ხელს უწყობს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები მზად იყვნენ ბიზნეს სამყაროს მოთხოვნებისთვის.

კურსების შინაარსი მორგებულია მათი სპეციფიკური სწავლის შედეგების მიღწევაზე. მაგალითად, ბიზნესის მენეჯმენტის კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ორგანიზაციული ქცევა, ლიდერობა და სტრატეგიული მენეჯმენტი, რაც აუცილებელია კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად.

არსებობს რამდენიმე მაგალითი, სადაც კურსის სწავლის შედეგების მიღწევა და სწორი შეფასება ვერ ხერხდება, სილაბუსის გეგმასთან მიმართებით:

მაგალითად: კურსი ფინანსური აღრიცხვა - სილაბუსის ერთ-ერთი შედეგია: "განსაზღვრავს ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების ოდენობას და აღრიცხავს მას." თუმცა, კურსის გეგმაში აღნიშნულია მხოლოდ ერთი კვირის თემა - გადასახდელი ვალდებულებები (რომელიც მოიცავს ვალდებულებების წარმოქმნასა და კლასიფიცირებას; მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა: სავაჭრო-საკრედიტო ვალდებულებების აღრიცხვა; მოკლევადიანი გადასახდელი ვალდებულებების აღრიცხვა; მიღებული ავანსებისა და დაბრუნებადი დეპოზიტების აღრიცხვა. დარიცხული ვალდებულებების აღრიცხვა: მიღებული გადასახდელი ვალდებულებების აღრიცხვა; მიღებული ავანსების აღრიცხვა; საგარანტიო ვალდებულებების აღრიცხვა; საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა. გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა). შესაბამისად, ეს შედეგი სრულყოფილად ვერ მიიღწევა და ვერ შეფასდება კურსის განმავლობაში. ამ შედეგს პროგრამის შედეგებზე დიდი გავლენა არ აქვს, თუმცა სილაბუსები უნდა გადაიხედოს მსგავსი ხარვეზების თავიდან ასაცილებლად.

საბაკალავრო ნაშრომი მხოლოდ საბოლოო ფაზაზე ფასდება, რაც საჭიროებს შეფასების შუალედური კომპონენტის დამატებას საბოლოო შეფასების პარალელურად.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი ფასდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის გამოცდებით, პროექტებით, პრეზენტაციებითა და შემთხვევის შესწავლით. ეს ძირითადად უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეძლონ მასალის გაგებისა და გამოყენების დემონსტრირება. თუმცა, პროგრამის სილაბუსებში სუსტი კავშირია სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის, განსაკუთრებით უნარების განვითარების კომპონენტში, რის გამოც საჭიროა სილაბუსების გადახედვა ამ მიმართულებით.

საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად განახლდება, რათა ასახოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული უახლესი ტენდენციები და კვლევები. თითოეულ კურსზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო (ლექციები, სემინარები) და დამოუკიდებელი სასწავლო საათების თანაფარდობა დაბალანსებულია, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საკმარისი დრო მასალის ასათვისებლად და მის პრაქტიკაში გამოსაყენებლად. სილაბუსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შერჩეულია კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად. ამ რესურსებში შედის სახელმძღვანელოები, აკადემიური ჟურნალები და მონაცემთა ონლაინ ბაზები. სასწავლო მასალები განახლებულია და ასახავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უახლეს კვლევებსა და განვითარებებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა) სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ლოგისტიკა) მოიცავს 120 ECTS კრედიტს და ფოკუსირებულია ლოგისტიკისა და მომარაგების ჯაჭვის მართვის მაღალი დონის საკითხებზე. პროგრამა შექმნილია, რათა უზრუნველყოს ლოგისტიკის სფეროში ღრმა ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც სტუდენტებს მოამზადებს ლიდერული როლებისთვის. პროგრამის უმეტესი კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან. კურსები შექმნილია ისეთი კომპეტენციების განვითარებისათვის, როგორიცაა ლოგისტიკის მართვა, მომარაგების ჯაჭვის სტრატეგია და ოპერაციების მენეჯმენტი. პროგრამა ამზადებს სტუდენტებს რთული ლოგისტიკური გამოწვევების გადაჭრისა და მომარაგების ჯაჭვის ეფექტური გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის. კურსების უმრავლესობის შინაარსი მორგებულია მის სპეციფიკურ სწავლის შედეგებზე. მაგალითად, ლოგისტიკის მართვის კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა მარაგების მართვა, სატრანსპორტო ლოგისტიკა და სასაწყობო ოპერაციები.

კურსის შედეგებია:

- ცოდნა და გააზრება
    - იღრმავებს შესწავლილი თეორიებისა და პრინციპების ცოდნას, ლოგისტიკური სისტემების მოდელირებისა და ფუნქციონირების შესახებ;
- უნარები:
    - ○ ახორციელებს ლოგისტიკური ოპერაციების წარმოებისთვის საჭირო ტექნიკური და ეკონომიკური პარამეტრების მოძიებას, კლასიფიცირებასა და შეფასებას;
    - აფასებს საფრთხეებსა და რისკებს ლოგისტიკური კომპანიის სხვადასხვა საოპერაციო სფეროებში;
    - მართავს ლოგისტიკურ ოპერაციებს, ტრანსპორტირებას, მარკეტინგულ კვლევებს და სხვა აქტივობებს;
- პასუხისმგებლობა და ავტონომიაპასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
    - ახორციელებს ლოგისტიკურ ოპერაციებს კოლეგიალურობის, სუბორდინაციისა და ეთიკის ნორმების დაცვით.

მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსის მოთხოვნების მიხედვით გათვალისწინებულია უფროსი ლოგისტიკის მენეჯერის ასისტენტი, გაურკვეველია, როგორ მიიღწევა და შეფასდება შედეგები, რადგან

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შესაძლოა ეს არ იყოს მაღალ დონის ლოგისტიკური პრაქტიკა. პრაქტიკის სილაბუსი მნიშვნელოვნად უნდა გადაიხედოს, მისი შედეგები უნდა განისაზღვროს უფრო ზუსტად, ხოლო შეფასების სისტემა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კურსის შედეგებთან. გარდა ამისა, აღნიშნული კურსი შესაძლებელია გადავიდეს არჩევით კურსებში.

საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად განახლდება, რათა ასახოს ლოგისტიკისა და მომარაგების ჯაჭვის მართვის უახლესი ტენდენციები და კვლევები.

თითოეულ კურსზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სასწავლო საათების ბალანსი შენარჩუნებულია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური სწავლა.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი ფასდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის გამოცდებით, პროექტებით, პრეზენტაციებითა და შემთხვევის შესწავლით. ეს ძირითადად უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეძლონ მასალის გაგებისა და გამოყენების დემონსტრირება. თუმცა, პროგრამის სილაბუსებში სუსტი კავშირია სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის, განსაკუთრებით უნარების განვითარების კომპონენტში, რის გამოც საჭიროა სილაბუსების გადახედვა ამ მიმართულებით. შეფასების მეთოდები შექმნილია როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების შეფასებისთვის.

სილაბუსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შერჩეულია კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად. ამ რესურსებში შედის სახელმძღვანელოები, აკადემიური ჟურნალები და მონაცემთა ონლაინ ბაზები.

სასწავლო მასალები განახლებულია და ასახავს უახლეს კვლევებსა და განვითარების ტენდენციებს ლოგისტიკისა და მომარაგების ჯაჭვის მართვის სფეროში.

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების სასწავლო კურსები უმეტესად კარგად არის სტრუქტურირებული და შემუშავებულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. შინაარსი, კრედიტები და სასწავლო მასალები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც სტუდენტებს საჭირო ცოდნასა და უნარებს აძლევს თავიანთი სფეროების მოთხოვნებთან გასამკლავებლად. შეფასების მეთოდები კომპლექსურია და უზრუნველყოფს სწავლის თითოეული შედეგის ეფექტურად შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი.
- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი.
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო (ლოგისტიკის) პროგრამის კურიკულუმი.
- ინტერვიუები
- ვებ-გვერდი https://iut.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამების სილაბუსების გადახედვა, სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდებს შორის მეტი კავშირისა და განსაკუთრებით, უნარების განვითარების მიმართულებით.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნასრომის შეფასებას დაემატოს შუალედური შეფასების კომპონენტები, რადგან საბაკალავრო ნაშრომი ფასდება მხოლოდ საბოლოო ეტაპზე.
- პროგრამის სილაბუსებში სუსტია კავშირი სწავლის შედეგსა და შეფასების მეთოდებს შორის, განსაკუთრებით უნარების განვითარების კომპონენტში, ამიტომ სილაბუსები ამ მიმართულებით გადახედვას საჭიროებს.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნასრომის შეფასებას დაემატოს შუალედური შეფასების კომპონენტები, რადგან საბაკალავრო ნაშრომი ფასდება მხოლოდ საბოლოო ეტაპზე.
- პროგრამის სილაბუსებში სუსტია კავშირი სწავლის შედეგსა და შეფასების მეთოდებს შორის, განსაკუთრებით უნარების განვითარების კომპონენტში, ამიტომ სილაბუსები ამ მიმართულებით გადახედვას საჭიროებს.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, არსებითად გადაიხედოს პრაქტიკის სილაბუსი, დაიხვეწოს მისი შედეგი და შეფასების სისტემა მოვიდეს შესაბამისობაში კურსის შედეგთან. გარდა ამისა, შესაძლებელია პრაქტიკის კურსის არჩევით კურსებში გადატანა.

რჩევები: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა	☐	x	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა	☐	☐	x	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერულ აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამების მიღების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას და უზრუნველყოფს იმ პირების ჩართულობას, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის დასრულებისთვის საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შედეგებს, საგანმანათლებლო შინაარსს, საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, რომელთაც სურთ პროგრამებზე ჩარიცხვა.

უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა და პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც ფაკულტეტი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან კოორდინაციით, განსაზღვრავს პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობას. დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ბიზნესის სკოლის ნაწილში: https://iut.edu.ge/abiturientebisatvis/programebi/.

პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://iut.edu.ge/en/skolebi/business-skola/programebi/business-administration/.

პროგრამაზე ჩარიცხვას შეძლებენ შემდეგი პირები:

ა) ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ეკვივალენტის მფლობელები, რომლებმაც უნივერსიტეტში სწავლის უფლება მიიღეს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები (გარდა იმ პირებისა, რომლებიც ერთდროულად საქართველოს მოქალაქეებიც არიან), საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში.

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ე) საქართველოს მოქალაქეები (ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ან გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე სტუდენტების გარდა), რომლებიც ცხოვრობდნენ/სწავლობდნენ საზღვარგარეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული დროით და მიიღეს კრედიტები/კვალიფიკაცია უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) მობილობით მოსარგებლე სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხულნი არიან უნივერსიტეტში მინისტრის №N10/ (04.02.2010) ბრძანების შესაბამისად, რომელიც არეგულირებს ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორეში გადასვლის პროცედურას.

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებამოსილების მისაღებად, აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ინგლისური ენის სავალდებულო საგნად ჩაბარება და 70%-იანი ან უფრო მაღალი ზღვრის გადალახვა.

უნივერსიტეტი ატარებს გასაუბრებას/გამოცდას იმ აპლიკანტებთან, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლებას ფლობენ. მათ უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა. აპლიკანტები უნდა ფლობდნენ ინგლისური ენის მინიმუმ B1 დონეზე ფლობის სერტიფიკატს. ამ დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, აპლიკანტი აბარებს გამოცდას საგამოცდო ცენტრში უცხოურ (ინგლისურ) ენაში.

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.

პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

პროგრამაზე ჩარიცხვას შეძლებენ შემდეგი პირები:

ა) ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მისი ეკვივალენტის მფლობელები, რომლებმაც უნივერსიტეტში სწავლის უფლება მიიღეს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები (გარდა იმ პირებისა, რომლებიც ერთდროულად საქართველოს მოქალაქეებიც არიან), საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით.

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში.

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ე) საქართველოს მოქალაქეები (ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ან გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე სტუდენტების გარდა), რომლებიც ცხოვრობდნენ/სწავლობდნენ საზღვარგარეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული დროით და მიიღეს კრედიტები/კვალიფიკაცია უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

ვ) მობილობით მოსარგებლე სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხულნი არიან უნივერსიტეტში მინისტრის №N10/ (04.02.2010) ბრძანების შესაბამისად, რომელიც არეგულირებს ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორეში გადასვლის პროცედურას.

უნივერსიტეტი ატარებს გასაუბრებას/გამოცდას იმ აპლიკანტებთან, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლებას ფლობენ. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი პროგრამის აღწერის თანახმად, ასეთმა აპლიკანტებმა მათ უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღნიშნული შეცდომა უნდა იყოს და ნაცვალდ ინგლისური ენისა, ასეთმა აპლიკანტებმა უნდა დაადასტურონ ქართული ენის ცოდნა, რადგან პროგრამა ქართულენოვანია.

რეკომენდაცები: ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის იმ აპლიკანტებმა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლებას ფლობენ, უნდა აჩვენონ ქართული ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.

პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

პროგრამაზე ჩარიცხვას შეძლებენ შემდეგი პირები:

a) პირი, რომელსაც გააჩნია მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ჩარიცხულია საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე;
b) სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატი. თუ აღნიშნული დოკუმენტი/სერტიფიკატი არ იქნება წარმოდგენილი, აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს გამოცდა უცხოურ (ინგლისურ) ენაში უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე კანდიდატები, ისევე როგორც ის კანდიდატები, რომელთაც გაიარეს სრული საბაკალავრო ან სამაგისტრო კურსი ინგლისურ ენაზე, გათავისუფლებულნი არიან ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან.

c) სავალდებულოა უნივერსიტეტის შიდა გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში.

უნივერსიტეტის შიდა გამოცდა სპეციალობასა და უცხო ენაში სავალდებულოა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. აპლიკანტებმა უნდა აჩვენონ ქართული ენის ცოდნა, რადგან აღნიშნული პროგრამა ქართული ენაზე ხორციელდება.

რეკომენდებულია, ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის აპლიკანტებმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩაირიცხონ საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე,დაადასტურონ ქართული ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის აღწერილობაში არ არის განსაზღვრული, თუ რომელ საგანში უნდა ჩაბარდეს სპეციალობის მისაღები გამოცდა. არ არის წარმოდგენილი არც მისაღები გამოცდის კითხვები და არც ლიტერატურა, რომელთა დახმარებითაც აპლიკანტებს შეეძლებათ გამოცდისთვის მომზადება. ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ, მისი მოსაზრებით, მისაღები გამოცდა ორი ნაწილისგან უნდა შედგებოდეს: სამოტივაციო ინტერვიუ და წერითი გამოცდა რაოდენობრივ და მათემატიკურ უნარებში. თუმცა, ეს წინადადება ჯერ არ განხილულა და დამტკიცებულა უნივერსიტეტის საბჭოების მიერ.

რეკომენდაცები: პროგრამის აღწერილობაში უნდა განისაზღვროს, თუ რომელ საგანში უნდა ჩატარდეს მისაღები გამოცდა. ასევე, უნდა იყოს განსაზღვრული მისაღები გამოცდის კითხვები და ლიტერატურა, რომლებიც აპლიკანტებს მომზადებაში დაეხმარება. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი https://iut.edu.ge/en/;

- პროგრამების წინაპირობების აღწერა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე https://iut.edu.ge/en/abiturientebisatvis/programebi/?fbclid=IwAR0CQDURKbcgtc5Y_HVEPJ0sNTZ1A47mvFVlFerjo9vwza6oX4lpnzGqlF4;

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამებზე დაშვების შესახებ/განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის წარდგენილი ანკეტა-კითხვარი
- პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პტოენციურ დამსაქმებლებთან და ინდუსტრიის წარმომადგენელ პარტნიორებთან.
- თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის აპლიკანტებმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩაირიცხონ საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე,დაადასტურონ ქართული ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.

რჩევები:

პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის აპლიკანტებმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ჩაირიცხონ საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე,დაადასტურონ ქართული ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.
- რეკომენდებულია, პროგრამის აღწერილობაში დაკონკრეტდეს თუ რომელი საგანი ბარდება მისაღებ გამოცდაზე. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს საგამოცდო საკითხები და ლიტერატურა, რომლებიც აპლიკანტებს აძლევს შესაძლებლობას მოემზადონ სპეციალობის მისაღები გამოცდისთვის. აღნიშნული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

რჩევები: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა	☐	☒	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები შექმნილია სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების კომპლექსური განვითარების მიზნით. ეს პროგრამები მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას შრომის თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მათი პირადი და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

პრაქტიკულ უნარებზე ყურადღება გამახვილებულია პროგრამების სხვადასხვა კომპონენტის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებასა და თეორიული ცოდნის რეალურ გარემოში გამოყენების უნარს. სამეცნიერო და კვლევითი უნარები პროგრამების განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებული ფოკუსით იმაზე, რომ სტუდენტებმა შეძლონ სისტემური კვლევების ჩატარება და მონაცემთა ანალიზი.

როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამები მოიცავს კვლევით კომპონენტებს, როგორიცაა საბაკალავრო ნაშრომი და სამაგისტრო ნაშრომი. აღნიშნული პროექტები მოითხოვს სტუდენტებისგან დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ანალიზსა და მათი შედეგების წარმოდგენას.

უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ფუნქციონირებს ბიზნეს-ლაბორატორია, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების იდეების მხარდაჭერასა და კონსულტირებას, სტარტაპების ინიცირების ხელშეწყობას, ბიზნესის სიახლეების დისემინაციას როგორც სკოლაში, ისე საჭიროების შემთხვევაში, საუნივერსიტეტო სივრცეში, სკოლის პერსონალის იდეების მხარდასაჭერად. ამჟამად ლაბორატორია არ ფუნქციონირებს, რადგან ბიზნესის სკოლას სტუდენტები არ ჰყავს. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, იგეგმება ლაბორატორიის უფრო ეფექტური ფუნქციონირება, როგორც კი ბიზნესის სკოლას სტუდენტები ეყოლება.

სტუდენტები წახალისებულები არიან, იმონაწილეონ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც მათ შეუძლიათ წარმოადგინონ საკუთარი კვლევები და ჩაერთონ აკადემიურ საზოგადოებაში.

შემოქმედებითი და საშემსრულებლო უნარები ვითარდება სხვადასხვა აქტივობებისა და კურსების მეშვეობით, რომლებიც ხელს უწყობს ინოვაციებსა და მხატვრული თვითგამოხატვის უნარებს.

კურსები ხშირად მოიცავს დავალებებს, რომლებიც მოითხოვს პრობლემების კრეატიულ გადაჭრასა და ინოვაციურ აზროვნებას. მაგალითად, „სოციალური მეწარმეობის“ კურსი სტუდენტებს მოუწოდებს, განავითარონ სამეწარმეო იდეები, სოციალური საკითხების გადასაჭრელად. სტუდენტები რეგულარულად წარმოადგენენ თავიანთ პროექტებსა და კვლევების შედეგებს, რაც ეხმარება მათ საშემსრულებლო და საჯარო გამოსვლების უნარების განვითარებაში.

ტრანსფერული უნარები, როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და პრობლემების გადაჭრა, ვითარდება პროგრამების ფარგლებში, რათა სტუდენტები იყვნენ მრავალმხრივი და ადაპტირებადი.

მრავალი კურსი მოიცავს გუნდურ პროექტებსა და თანამშრომლობით მუშაობას, რაც სტუდენტებს ეხმარება გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაში.

კარიერული და სტუდენტური მხარდაჭერის ცენტრი უზრუნველყოფს ტრენინგებს რეზიუმეს შედგენაში, გასაუბრებისთვის მომზადებაში და სხვა რბილ უნარებში, რომლებიც აუცილებელია კარიერული განვითარებისთვის.

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამები სათანადოდაა სტრუქტურირებულია, რომ სტუდენტებს მისცეს პრაქტიკული გამოცდილება, კვლევითი შესაძლებლობები და შემოქმედებითი პროექტები, რომლებიც კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობის ქვეშ ხორციელდება. უნივერსიტეტის შეთანხმებები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ცენტრებთან დამატებით უწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას კურსებისა და პროექტების მეშვეობით, რომლებიც ტარდება ინგლისურ ენაზე, რაც სტუდენტებს ამზადებს საერთაშორისო ბიზნეს გარემოში მუშაობისთვის. პრაქტიკული აქტივობები მოიცავს შემთხვევის შესწავლას, სიმულაციებსა და სტაჟირებებს, რაც სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

სტუდენტები წერენ საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ანალიზს და შედეგების ინგლისურ ენაზე წარმოდგენას. წახალისებულია სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას.

კურსები, როგორიცაა „საერთაშორისო მარკეტინგი" და „გლობალური ბიზნესის სტრატეგიები," ხელს უწყობს შემოქმედებითობასა და ინოვაციებს. სტუდენტები მუშაობენ პროექტებზე, რომლებიც მოითხოვს პრობლემების კრეატიულ გადაჭრასა და სტრატეგიულ აზროვნებას. ისეთი აქტივობები, როგორიცაა პრეზენტაციები და გუნდური პროექტები, ავითარებს საშემსრულებლო უნარებს ინგლისურენოვან გარემოში.

სტუდენტებს ხელმძღვანელობს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, უზრუნველყოფს მათთვის გზამკვლევობას და აფასებს მათ მუშაობას როგორც პრაქტიკულ, ისე კვლევით აქტივობებში. უნივერსიტეტს გააჩნია შეთანხმებები საერთაშორისო ორგანიზაციებთან სტაჟირებებისათვის, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მიღებას. დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ცენტრებთან შეთანხმებები მოიცავს სტუდენტთა რაოდენობას, მიზნებს, შედეგებსა და პრაქტიკის ხანგრძლივობას. ეს შეთანხმებები ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ქართულენოვანი

პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას სხვადასხვა კურსისა და პროექტის მეშვეობით, რომლებიც შეესაბამება სწავლის შედეგებს. სტუდენტები მონაწილეობენ პრაქტიკულ აქტივობებში, როგორიცაა შემთხვევის შესწავლა, სიმულაციები და სტაჟირებები, რაც მიზნად ისახავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პრაქტიკული გამოცდილების შეძენას. პროგრამა მოიცავს კვლევით კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს. ეს პროცესი მოიცავს კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ანალიზსა და მიღებული შედეგების წარდგენას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რაც ხელს უწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას. კურსები, როგორიცაა „მარკეტინგი“ და „მეწარმეობა,“ ხელს უწყობს შემოქმედებითობისა და ინოვაციების განვითარებას. სტუდენტები მუშაობენ პროექტებზე, რომლებიც მოითხოვს პრობლემების კრეატიულ გადაჭრასა და სტრატეგიულ აზროვნებას. პროგრამა მოიცავს აქტივობებს, როგორიცაა პრეზენტაციები და გუნდური პროექტები, რომლებიც ავითარებს სტუდენტთა საშემსრულებლო უნარებს.

სტუდენტებს ხელმძღვანელობს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ გზამკვლევობას და აფასებენ მათ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობას. უნივერსიტეტს გააჩნია შეთანხმებები სხვადასხვა ორგანიზაციასთან სტაჟირებისთვის, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მიწოდებას. უნივერსიტეტს დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული აქვს შეთანხმებები, რომლებშიც განსაზღვრულია სტუდენტთა რაოდენობა, მიზნები, შედეგები და პრაქტიკის ხანგრძლივობა. ეს შეთანხმებები ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - ბიზნეს ადმინისტრირების (ლოგისტიკა) სამაგისტრო პროგრამა

პროგრამა ფოკუსირებულია ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის მაღალი დონის თემებზე, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას კურსებისა და პროექტების მეშვეობით. პრაქტიკული აქტივობები მოიცავს შემთხვევის შესწავლას, სიმულაციებსა და სტაჟირებებს, რაც ლოგისტიკის სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მიღებას შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს.

სტუდენტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს კვლევის ჩატარებას, მონაცემთა ანალიზსა და შედეგების წარმოდგენას. წახალისებულია სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას.

კურსები, როგორიცაა „ლოგისტიკის მენეჯმენტი“ და „მიწოდების ჯაჭვის სტრატეგია,“ ხელს უწყობს შემოქმედებითობისა და ინოვაციების განვითარებას. სტუდენტები მუშაობენ პროექტებზე, რომლებიც მოითხოვს პრობლემების კრეატიულ გადაჭრასა და სტრატეგიულ აზროვნებას. აქტივობები, როგორიცაა პრეზენტაციები და გუნდური პროექტები, ავითარებს სტუდენტთა საშემსრულებლო უნარებს.

სტუდენტებს ხელმძღვანელობს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ გზამკვლევობას და აფასებენ მათ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობას. უნივერსიტეტს აქვს შეთანხმებები ლოგისტიკურ კომპანიებთან სტაჟირებებისთვის, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მიწოდებას.

დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ცენტრებთან შეთანხმებები მოიცავს სტუდენტთა რაოდენობას, მიზნებს, შედეგებსა და პრაქტიკის ხანგრძლივობას. ეს შეთანხმებები ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

თვითშეფასების ანგარიში;

თანდართული დოკუმენტები

დაკვრივებები აკრედიტაციის ვიზიტის დროს

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.	☒	☐	☐	☐

პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები მიზნად ისახავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებას. აღნიშნული მეთოდები მორგებულია განათლების საფეხურზე, სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლების შედეგებზე, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია, ინტერაქციული და მოქნილი, რათა დააკმაყოფილოს სტუდენტების, მათ შორის საერთაშორისო სტუდენტების, ინდივიდუალური საჭიროებები.

სწავლება-სწავლის მეთოდები თანხვედრაშია განათლების საფეხურთან და თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიურ შინაარსთან. ისინი შემუშავებულია ისე, რომ შეესაბამებოდეს სწავლების შედეგებსა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სრულყოფილი განათლება.

მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სწავლის პროცესში. დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ასევე სტუდენტებს შორის ინტერაქციას. სტუდენტები წახალისებულნი არიან, იმონაწილეონ შესაბამისი ავტონომიითა და პასუხისმგებლობით, რაც ხელს უწყობს კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას. სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილი და ადაპტირებულია სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. სტუდენტთა ინტერესებისა და აკადემიური მზაობის გათვალისწინებით იქმნება და გამოიყენება ინდივიდუალური პროგრამები.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრისას ითვალისწინებს საერთაშორისო სტუდენტების კულტურულ და სხვა საჭიროებებს.

დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ ელექტრონული და დისტანციური სწავლების მეთოდები შესაბამისობაში იყოს სასწავლო დარგთან. ეს მეთოდები არ ცვლიან პროგრამების მიზნებსა და სწავლების შედეგებს.

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლება-სწავლის მეთოდები შემუშავებულია, რათა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, ინტერაქტიული და მოქნილი. აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭიროებებს და საერთაშორისო სტუდენტების კულტურულ და სხვა მოთხოვნებს. სწავლება-სწავლის მეთოდები

თანხვედრაშია განათლების საფეხურთან და სასწავლო კურსის შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების შედეგების მიღწევასა და კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

- **ლექცია:** ქართული პროგრამის მსგავსად, აქცენტი გაკეთებულია ინტერაქტიულ და კრიტიკულ ანალიზზე.
- **ჯგუფური მუშაობა და დისკუსია:** ყურადღება გამახვილებულია ინგლისურ ენაზე კომუნიკაციაზე.
- **ახსნა და თანამშრომლობითი მუშაობა:** ჯგუფური დავალებები და დისკუსიები, რომლებიც უზრუნველყოფს გაგებასა და პრაქტიკულ გამოყენებას.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL):** ფოკუსი ისეთი უნარების განვითარებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია ინგლისურენოვან ბიზნეს გარემოში.პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL),
- **შემთხვევის შესწავლა და დემონსტრირების მეთოდი:** საერთაშორისო ბიზნეს შემთხვევებზე მორგებული ანალიზი და ვიზუალური პრეზენტაცია.
- **პრაქტიკული მუშაობა:** გლობალური ბიზნეს პრაქტიკისთვის შესაბამისი პრაქტიკული დავალებების შესრულება.
- **ინდუქცია და დედუქცია:** ლოგიკური აზროვნების პროცესები.
- **როლური თამაში და პრეზენტაცია:** უნარების განვითარება იდეების ინგლისურ ენაზე წარდგენასა და დაცვაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ქართულენოვანი

- **ლექცია:** ინტერაქტიული ლექციები, რომლებიც გადმოსცემს სასწავლო მასალის არსს, აანალიზებს ფაქტებსა და იდეებს და განმარტავს კომპლექსურ საკითხებს.
- **ჯგუფური მუშაობა:** დისკუსიები მცირე ჯგუფებში, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო მასალის გაგებასა და პრაქტიკაში გამოყენებას.
- **დისკუსია:** ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას და არგუმენტაციას, რაც ავითარებს მათ უნარს, დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები.
- **განმარტება:** კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა დეტალური მაგალითებით.
- **თანამშრომლობითი მუშაობა:** ჯგუფური დავალებები, რომლებიც სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL):** უნარების განვითარება კომუნიკაციაში, გუნდურ მუშაობაში, პრობლემების გადაჭრასა და დამოუკიდებელ სწავლებში.
- **შემთხვევის შესწავლა:** ბიზნესის კონკრეტული შემთხვევების ანალიზი კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად.

- **დემონსტრირების მეთოდი:** ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა, მისი გაგების გასაუმჯობესებლად.
- **პრაქტიკული მუშაობა:** პრაქტიკული დავალებები, რომლებიც პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება.
- **ინდუქცია და დედუქცია:** ლოგიკური პროცესები კონკრეტულიდან ზოგადამდე და პირიქით.
- **როლური თამაში:** სიმულირებული სცენარები განსხვავებული პერსპექტივების გასაგებად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა

- **ლექცია:** სიღრმისეული ინტერაქტიული ლექციები, რომლებიც ფოკუსირებულია ბიზნესის მენეჯმენტისა და ლოგისტიკის მაღალი დონის კონცეფციებზე.
- **ჯგუფური მუშაობა და დისკუსია:** დისკუსიები მცირე ჯგუფებში, რომლებიც მიზნად ისახავს რთული ლოგისტიკური საკითხების გაგებას.
- **ახსნა და თანამშრომლობითი მუშაობა:** ჯგუფური დავალებები რეალური ლოგისტიკური პრობლემების გადასაჭრელად.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL):** მაღალი დონის ლოგისტიკური პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება.
- **შემთხვევის შესწავლა:** ლოგისტიკური შემთხვევების დეტალური ანალიზი სტრატეგიული აზროვნების გასავითარებლად.
- **დემონსტრირების მეთოდი:** ვიზუალური პრეზენტაციები ლოგისტიკური პროცესების ილუსტრირებისათვის.
- **ინდუქცია და დედუქცია:** ლოგიკური მსჯელობის გამოყენება ლოგისტიკურ სცენარებში.
- **როლური თამაში და პრეზენტაცია:** ლოგისტიკური გადაწყვეტილებებისა და სტრატეგიების წარდგენის უნარების განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა დანერგა შეფასების 100-ქულიანი ჩარჩო, რომელიც სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაზომვის დეტალიზებულ მიდგომას უზრუნველყოფს. შეფასების სისტემა ძირითადად ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებით. შეფასების სისტემა მოიცავს ხუთ დადებით შეფასებას, რომლებიც ვრცელდება "ფრიადიდან" (91-100 ქულა) "საკმარისამდე" (51-60 ქულა), და ორ უარყოფით შეფასებას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება მოიცავს მიდგომას, რომელიც აერთიანებს შუალედურ და საბოლოო შეფასებებს. შეფასების 100-ქულიან სისტემაში შეფასების სხვადასხვა კომპონენტს კონკრეტული პროცენტული წონა ენიჭება. აღნიშნული ჩარჩო

გამორიცხავს, რომ სტუდენტებმა სასწავლო კურსის კრედიტები მიიღონ მხოლოდ შუალედურ ან საბოლოო გამოცდებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ბიზნესის სკოლამ სამივე პროგრამაზე დააწესა შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ასევე არსებობს მინიმალური კომპეტენციის ზღვრები ინდივიდუალური შუალედური გამოცდის კომპონენტებისთვის. კერძოდ, სკოლამ დაადგინა შუალედური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ჯამური შეფასების 50%+1 ქულა), რაც შესაძლებელს ხდის აღნიშნული კომპონენტების გამოყენებას სწავლის შედეგების გაზომვისთვის, რადგან სტუდენტები აუცილებლად შეასრულებენ შუალედური გამოცდის სხვადასხვა აქტივობებს.

შეფასების პროცესი მრავალმხრივია და მოიცავს სხვადასხვა კომპონენტსა და მეთოდს. ეს შეიძლება იყოს როგორც ტრადიციული ზეპირი და წერითი გამოცდები, ისე უფრო ინტერაქტიული მიდგომები, როგორიცაა პრეზენტაციები, გუნდური მუშაობა, შემთხვევის შესწავლა და კლასში მონაწილეობა. სტუდენტების შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის ზეპირი გამოკითხვებით, ინტერაქტიული კითხვა-პასუხის სესიებით, დახურული პასუხებისგან შემდგარი ტესტებით, პრაქტიკული სამუშაოებით, პრეზენტაციებით, როლური სავარჯიშოებით და პროექტების შეფასებით. ეს მრავალმხრივი მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტთა უნარების ყოვლისმომცველ შეფასებას სხვადასხვა სასწავლო სფეროში.

შეფასების ყოველი მეთოდი ყურადღებით ფასდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც ზომავს სტუდენტის გაგებასა და შესრულებას. შეფასების მეთოდოლოგია მოიცავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საბოლოო შეფასებისთვის, რომელიც სტრატეგიულად განისაზღვრება საბოლოო შეფასების ჯამური ქულის 60%-ით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტები ახდენენ სიღრმისეული ცოდნის დემონსტრირებას შეფასების სხვადასხვა ეტაპებზე, ნაცვლად იმისა, რომ შეფასების მხოლოდ ერთ მეთოდზე იყვნენ დამოკიდებულნი აკადემიური მოსწრების დასადგენად.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების მეთოდების სიზუსტისა და სანდოობის გაუმჯობესებას. შეფასების კომპონენტებისა და ინდივიდუალური მეთოდების სამიზნე ნიშნულების მკაფიოდ განსაზღვრით, დაწესებულება ცდილობს შექმნას პირდაპირი კავშირი შეფასების მექანიზმებსა და სწავლის სასურველ შედეგებს შორის. აღნიშნული მიდგომა ასახავს გააზრებულ ვალდებულებას იმისა, რომ შეფასებები არ იყოს მხოლოდ ადმინისტრაციული ფორმალობა, არამედ გახდეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც ზუსტად აფასებს და მხარს უჭერს სტუდენტთა სწავლის პროცესს. დადგენილი სტანდარტები წარმოადგენს ჩარჩოს, რომელიც პედაგოგებს ეხმარება განახორციელონ ისეთი შეფასება, რომლიც

მკაცრიცაა და მჭიდროდაა დაკავშირებული სასწავლო კურსის ძირითად სასწავლო მიზნებთან. ასეთი დეტალური დაგეგმარებით უნივერსიტეტი ადასტურებს თავის ერთგულებას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მნიშვნელოვანი უკუკავშირის მიწოდების მიმართ, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტების ზრდასა და აკადემიურ განვითარებას.

შეფასების სისტემა დეტალურად არის სტრუქტურირებული და შედგება შეწონილი კომპონენტებისგან. შუალედური შეფასებები შეადგენს საერთო შეფასების 60%-ს (სადაც შუალედური გამოცდები შეადგენს 20%-ს), ხოლო საბოლოო შეფასებები შეადგენს 40%-ს.

შეფასების წესები და თავისებურებები დეტალურად არის აღწერილი კონკრეტულ სილაბუსებში, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის ელექტრონული სისტემის საშუალებით: https://stud.iut.edu.ge/. ლექტორებს ევალებათ პირველივე სასწავლო კვირაში სტუდენტებს განუმარტონ შეფასების თავისებურებები. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები კურსის დაწყებიდანვე ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ.

შეფასების სისტემა სამართლიანობის მექანიზმებს შეიცავს, რომლებიც სტუდენტებს გაუმჯობესების შესაძლებლობას აძლევს. ზღვრული შესრულების შემთხვევებში სტუდენტებს დამატებითი გამოცდის შესაძლებლობა ეძლევათ. სისტემა იძლევა ხელახალი გამოცდის შესაძლებლობას და სთავაზობს სტრუქტურირებულ მიდგომებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაში არსებული პოტენციური ხარვეზების გამოსასწორებლად. გამოცდების ჩატარების რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე, რაც ნათელ გზამკვლევლობას უზრუნველყოფს შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით. სტუდენტებს მრავალმხრივი შესაძლებლობები აქვთ იმისათვის, რათა გაეცნონ და ჩაერთონ საკუთარი შეფასების პროცესში. სისტემა მოიცავს შეფასების შედეგების გასაჩივრების დეტალურ მექანიზმებს, რომელიც შეეხება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვასაც და მიზნად ისახავს სტუდენტთა საჩივრების გონივრულ ვადებში განხილვას. გასაჩივრების პროცესი შესაძლოა გულისხმობდეს შეფასების შედეგების გადახედვასა და გადაწყვეტილების მიღებას სხვა შემფასებლების მიერ. კურსის ხელმძღვანელები აქტიურად აცნობენ სტუდენტებს გასაჩივრების პროცედურებს, რაც დამატებით აძლიერებს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას.

აკადემიური პატიოსნების მნიშვნელობის აღიარებით, უნივერსიტეტმა ინვესტიცია ჩადო კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმებში. დანერგილია ანტი-პლაგიატის პროგრამა (plagiat.pl), რომელიც ფოკუსირდება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე. დაწესებულება ჩაატარებს საინფორმაციო და სასწავლო მოდულებს, რათა აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურა განავითაროს, რითაც საგანმანათლებლო სტანდარტების შენარჩუნების დემონსტრირებას ახდენს.

შემდგომი გაუმჯობესებისთვის, დაწესებულებას შეუძლია შეიმუშაოს და დანერგოს კომპლექსური სტრატეგიები, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული პლაგიატის აღმოფხვრას და პრევენციას მოიცავს, განსაკუთრებული აქცენტით ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე, სადაც გამოვლენა შეიძლება არ იყოს რთული. სასურველია დაინერგოს მიდგომა, რომელიც რამდენიმე სფეროს მოიცავს. პირველ რიგში, დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს შეფასების კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული კონტენტის საკითხებს, მათ შორის AI პლაგიატის მკაფიო განსაზღვრებებსა და თანმდევ შედეგებს, სასწავლო კურსის სილაბუსებსა და/ან აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტებში (მაგალითად, უკვე არსებული დოკუმენტი - „როგორ აღმოვაჩინოთ და ვუპასუხოთ პლაგიატს“). ამას უნდა დაემატოს ხელოვნური ინტელექტის გამოვლენის ინსტრუმენტების შეფასების პროცესში ინტეგრირება. აუცილებელია რეგულარული ტრენინგები პროფესორ-მასწავლებლებისათვის, რომელშიც მოცული იქნება ხელოვნური ინტელექტის ამჟამინდელი შესაძლებლობები და შეზღუდვები, AI-გენერირებული კონტენტის აღმოჩენა, AI-სადმი რეზისტენტული დავალებების შექმნის დიზაინი და ციფრულ ეპოქაში აკადემიური კეთილსინდისიერების შენარჩუნების საუკეთესო პრაქტიკები. თანაბრად მნიშვნელოვანია სტუდენტთა საგანმანათლებლო ინიციატივები, რომლებიც ორიენტირებული იქნება AI ინსტრუმენტების ეთიკურ გამოყენებაზე, ორიგინალური ნამუშევრების მნიშვნელობაზე, ციტირებისა და მიკუთვნების სწორ პრაქტიკებსა და AI პლაგიატის თანმდევ-შედეგებზე. დაწესებულებამ რეგულარულად უნდა გადახედოს და განაახლოს ეს ზომები, რათა ფეხი აუწყოს AI ტექნოლოგიების განვითარებას. ყველა პროცედურა დეტალურად უნდა დოკუმენტირდეს და სისტემატურად უნდა შეფასდეს მათი ეფექტურობა, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების რეგულარული უკუკავშირის საფუძველზე.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები მიმართულია სტუდენტთა აკადემიური და პიროვნული განვითარების მხარდამჭერი კონსტრუქციული უკუკავშირის უზრუნველყოფაზე. შეფასების ყურადღებით შემუშავებული პროცესების მეშვეობით, სტუდენტები მიიღებენ დეტალურ შეფასებებს, რომლებიც ასახავს როგორც მათ სასწავლო მიღწევებს, ისე განვითარების პოტენციურ სფეროებს. თითოეული შეფასება აგებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მნიშვნელოვანი კომენტარები, რომლებიც არა მხოლოდ ასახავს კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას, არამედ ასევე სთავაზობს მიზნობრივ გზამკვლევობას პიროვნული და აკადემიური განვითარებისთვის. უკუკავშირის მექანიზმი მიზანმიმართულადაა შექმნილი როგორც განმავითარებელი, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიაზრონ თავიანთი მიმდინარე აკადემიური მდგომარეობა და, ამავდროულად, მიიღონ სტრატეგიული რეკომენდაციები სამომავლო გაუმჯობესებისთვის. ინდივიდუალური რეფლექსიისა და კონსტრუქციული გზამკვლევობის ხაზგასმით, პროგრამები უზრუნველყოფენ, რომ სტუდენტები

აქტიურად ჩაერთონ თავიანთი სასწავლო პროცესში და განივითარონ კრიტიკული თვითშეფასების უნარები.

დაწესებულებამ დანერგა ციფრული შეფასების ჩარჩო, რომელიც შეიძლება მაშინ იყოს გამოყენებული, როდესაც ტრადიციული, პირისპირ შეფასება შეუძლებელია. ეს ადაპტირებადი მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ თითოეული აკადემიური კომპონენტი ინარჩუნებდეს თავის ძირითად საგანმანათლებლო მთლიანობასა და სასწავლო მიზნებს, სწავლების მეთოდისგან დამოუკიდებლად. ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებისა და პედაგოგიური სტრატეგიების ინტეგრირებით, დაწესებულებას შეუძლია ეფექტურად გადაიტანოს შეფასების პროცესები ონლაინ პლატფორმებზე აკადემიური სტანდარტების შეუსუსტებლად. ელექტრონული სწავლის შეფასების მიდგომა შეიქმნა მრავალფეროვანი სასწავლო გარემოს მხარდასაჭერად, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს შეფასების გამოცდილებით, რომელიც ზუსტად ასახავს თითოეული კურსის სპეციფიკურ მოთხოვნებს. ამასთან, დაწესებულებას შეუძლია განავითაროს და გააუმჯობესოს ელექტრონული სწავლის შესაძლებლობები, ციფრული საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების მართვის არსებული საკანონმდებლო ჩარჩოების გათვალისწინებით. თუ დაწესებულება განიხილავს ონლაინ სწავლის კომპონენტების უფრო ფართო ინტეგრაციას აკადემიურ სასწავლო გეგმაში, განხორციელდება სისტემური მიდგომა, რათა გამოვლინდეს და შეფასდეს პროგრამის ის კონკრეტული სეგმენტები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ციფრულ ტრანსფორმაციას. ეს სტრატეგიული შეფასება ყურადღებით გაითვალისწინებს კრედიტების ლიმიტებს, რომლებიც გათვალისწინებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის, რათა უზრუნველყოს, რომ ელექტრონული სწავლის ტექნოლოგიების დანერგვა შეესაბამებოდეს დადგენილ აკადემიურ სტანდარტებსა და მარეგულირებელ სახელმძღვანელოებს. წინდახედული და მოზომილი მიდგომა საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს გააზრებულად განავითაროს თავისი ციფრული სწავლის ინფრასტრუქტურა, რაც მაქსიმალურად გაზრდის საგანმანათლებლო მოქნილობას და დააკმაყოფილებს სტუდენტების მზარდ მოთხოვნებს ელექტრონულ სწავლაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის (BBA) სტუდენტთა შეფასების სისტემა იყენებს სტრუქტურირებულ მეთოდებს სტუდენტთა მიღწევების შესაფასებლად. პროგრამა უზრუნველყოფს, რომ შეფასების კომპონენტები შესაბამისობაში იყოს ინდივიდუალური კურსების სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან, თუმცა გაუმჯობესების შესაძლებლობები კვლავ რჩება.

გამოყენებული მეთოდები ასახავს სასწავლო პროგრამის მრავალფეროვნებას. რაოდენობრივი კურსები, როგორიცაა ფინანსები და აღრიცხვა, იყენებენ სავარჯიშოებსა და გამოცდებს ანალიტიკური უნარების შესაფასებლად, მაშინ როცა ისეთი საგნები, როგორიცაა ბიზნესის ეთიკა ან სტრატეგიული მენეჯმენტი, იყენებენ ესეებს, პროექტებსა და პრეზენტაციებს კრიტიკული აზროვნებისა და ეთიკური მსჯელობის შესაფასებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომები კურსების შინაარსთან შესაბამისობაშია, სისტემატური მონიტორინგისა და თანმიმდევრული ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად საჭიროა მეტი ყურადღება.

შეფასებები დაკავშირებულია კურსის სილაბუსებში გაწერილ სწავლის შედეგებთან, თუმცა შეზღუდულია დოკუმენტაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამ კავშირების რეგულარული გადახედვა და კორექტირება. აშკარაა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების დაბალანსებული გამოყენება, მათ შორისაა გამოცდები, პროექტები, მონაწილეობა და რეფლექსიური ესეები, მაგრამ საჭიროა უფრო მკაფიო მექანიზმები შეფასების თანმიმდევრულობისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად. რუბრიკების გამოყენების გაძლიერება და სისტემატური გადახედვები ხელს შეუწყობს შეფასების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მიჰყვება ორფაზიან სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ ელემენტებს. შეფასება გადანაწილებულია ორ ძირითად ეტაპზე: შუალედური შეფასება შეადგენს საერთო შეფასების 60%-ს (60 ქულა), ხოლო საბოლოო შეფასება შეადგენს საერთო შეფასების 40%-ს (40 ქულა). ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესის სრული ჩარჩო აღწერილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა შეფასების სისტემა სტრუქტურულად იდენტურია ინგლისურენოვანი პროგრამის სისტემისა. შეფასების კომპონენტები შეესაბამება კურსის სპეციფიკურ მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებს და სტუდენტთა მიღწევების შესაფასებლად იყენებს მსგავს მეთოდებს. რაოდენობრივი კურსები ფოკუსირებულია პრობლემის გადაჭრისა და ანალიტიკურ დავალებებზე, მაშინ როცა თვისებრივი საგნები იყენებს წერით და ზეპირ შეფასებებს.

როგორც ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში, აქაც გასაუმჯობესებელი საკითხებია: შეფასების მეთოდების ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა, სწავლის შედეგების სისტემატური დაკავშირება შეფასებებთან და უკუკავშირის მექანიზმების გაუმჯობესება. მონიტორინგის

გაძლიერებული პროცესები და რუბრიკების მკაფიო გამოყენება ხელს შეუწყობს გამჭვირვალობასა და სრულყოფილ შეფასებას.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მიჰყვება ორფაზიან სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ ელემენტებს. შეფასება გადანაწილებულია ორ ძირითად ეტაპზე: შუალედური შეფასება შეადგენს საერთო შეფასების 60%-ს (60 ქულა), ხოლო საბოლოო შეფასება შეადგენს საერთო შეფასების 40%-ს (40 ქულა). ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესის სრული ჩარჩო აღწერილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა) სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის (ლოგისტიკა) სტუდენტთა შეფასების სისტემა მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდება დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. პროგრამას უჭირს პრაქტიკულ და სამეცნიერო კომპონენტებს შორის ბალანსის დაცვა და ვერ უზრუნველყოფს ძლიერი შედეგების მიღწევას ვერც ერთი მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა იყენებს სტანდარტული შეფასების გარკვეულ მეთოდებს, როგორიცაა შემთხვევის შესწავლა, პროექტები და წერითი გამოცდები, ეს მიდგომები ვერ ასახავს სამაგისტრო პროგრამისთვის აუცილებელ კომპლექსურობას. პრაქტიკულ კომპონენტებს არ ჰყოფნით სიღრმე, და მათი ინდუსტრიისთვის შესაბამისი გამოყენება ან რეალურ ლოგისტიკურ გამოწვევებში ჩართვა შეზღუდულია. მსგავსად ამისა, სამეცნიერო კომპონენტები ნაკლებადაა განვითარებული, არ არის სათანადო ფოკუსი კვლევაზე ორიენტირებულ შეფასებებზე ან მაღალი დონის თეორიული მოდელების ინტეგრირებაზე.

შეფასებებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირი არათანმიმდევრულია. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები მიზნად ისახავს ლოგისტიკის სფეროში მაღალი დონის კომპეტენციების განვითარებას, შეფასების მეთოდები ვერ უზრუნველყოფს ამ უნარების კომპლექსურ შეფასებას. რუბრიკები და შეფასების კრიტერიუმები სათანადოდ არ არის დოკუმენტირებული, და არ არსებობს სისტემატური მონიტორინგის ან კორექტირების მტკიცებულება, რომელიც უზრუნველყოფდა იმას, რომ შეფასებები ეფექტურად ზომავს სწავლის შედეგებს.

გარდა ამისა, უკუკავშირის მექანიზმები არასაკმარისად გამოიყენება, რაც ამცირებს სტუდენტების შესაძლებლობას გააანალიზონ საკუთარი პროგრესი და გააუმჯობესონ შესრულება. კვლევითი პროექტების ან პრაქტიკული განაცხადების შეფასებისთვის მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპების

არარსებობა კიდევ უფრო ასუსტებს პროგრამის შესაძლებლობას, უზრუნველყოს შინაარსიანი შეფასებები.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი იყენებს შეფასების სტანდარტულ 100-ქულიან სისტემას, რომელიც შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. შეფასების სტრუქტურა განსაზღვრავს მაქსიმალურად მისაღებ 100 ქულას, სადაც ჩათვლის მინიმალური ზღვარი შეადგენს 51 ქულას. აღნიშნული ჩარჩოს ფარგლებში, პრაქტიკული აქტივობის შეფასების ჭერი 60 ქულით არის განსაზღვრული. შეფასების პროცესში ჩართულია რამდენიმე შემფასებელი და კრიტერიუმი, რომლებიც მოიცავს პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის ერთობლივ შეფასებას. შეფასების ფაქტორები მოიცავს სტუდენტის ჩართულობის დონეს, შესრულების ხარისხის აღწერას, აქტივობის ადგილზე შეფასებას, პრაქტიკის ანგარიშის ხარისხსა და ანგარიშის დაცვის პრეზენტაციას კომისიის წინაშე.

სამაგისტრო პროგრამა ადასტურებს და უზრუნველყოფს სრულყოფილი, გამჭვირვალე და სამართლიანი ჩარჩოს განხორციელებას ნაშრომის დაცვისა და შეფასებისათვის. დადგენილი პროცედურული მექანიზმი უზრუნველყოფს აკადემიური გამოკვლევას, რომელიც ხორციელდება კვალიფიციური კომისიისა და რეცენზენტის მიერ სისტემატური კოლეგიალური შეფასების საფუძველზე. შეფასების აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს აკადემიური კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტების დაცვას და სტუდენტებისთვის მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური მიღწევების მკაფიო, ობიექტური და პროფესიონალურად ორგანიზებული შეფასების უზრუნველყოფას. კომისიის საფუძველზე განხორციელებული მიმოხილვის პროცესი უზრუნველყოფს ექსპერტთა მრავალფეროვან შეხედულებებს, რაც იძლევა სამართლიანი, დაბალანსებული და ყოვლისმომცველი შეფასების განხორციელების საშუალებას. ეს კი ხელს უწყობს აკადემიური სანდოობისა და სამეცნიერო ხარისხის შენარჩუნებას, რაც მნიშვნელოვანია აკადემიური კვლევისა და ცოდნის განვითარების მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად. მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა გამოსწორდეს ტექნიკური ხარვეზები სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტში, განსაკუთრებით სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითი შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რათა უარყოფითი შეფასებები შესაბამისობაში მოვიდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემასთან, რომელიც განსაზღვრულია მინისტრის ბრძანებითა და დაწესებულების მაგისტრატურის დებულებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით, ახორციელებს შეფასების შედეგების სისტემურ ანალიზს და მიღებული დასკვნების სწავლების პროცესში ინტეგრირებას. აღნიშნული ანალიზი მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის

ჩართულობას და სტრუქტურირებულ პროცესს მიჰყვება, რაც უზრუნველყოფს საჭირო ცვლილებების ეფექტურ განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აგროვებს შეფასების მრავალმხრივ მონაცემებს სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით, მათ შორის სტუდენტური უკუკავშირით, სასწავლო კურსების შეფასებით, სწავლების შეფასებითა და პროგრამის შედეგებით. აღნიშნული მონაცემები დეტალურად მუშავდება, რათა გამოვლინდეს ტენდენციები, კანონზომიერებები და საყურადღებო მიმართულებები. პროგრამის ხელმძღვანელებს უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ ამ მონაცემების ანალიზში აკადემიური კონტექსტის გათვალისწინებით და გაუმჯობესების მიზნობრივი სტრატეგიების შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.
- ლოგისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსები
- ბაკალავრიატის დებულება
- მაგისტრატურის დებულება
- თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესების რეგულაციები
- ელექტრონული სწავლების წესი;
- ეთიკის კოდექსი;
- პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები;
- გამოცდების ჩატარების რეგულაციები
- თვითშეფასების ანგარიში;
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები - Plagiat.pl - ხელმოწერილი კონტრაქტი.
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები - კომუნიკაცია უნივერსიტეტსა და Plagiat.pl -ს შორის ელექტრონულ ფოსტაზე
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები N29 - სტუდენტების მიერ კვლევითი კომპონენტის განხორციელების შეფასება
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები N30 - მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეფასება.
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები N31 - პრაქტიკული კომპონენტის შეფასება სტუდენტის მიერ.
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები N32 - სტუდენტის მიერ კურსის შეფასება.
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი https://iut.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, გადაიხედოს დაწესებულების ელექტრონული სწავლების რეგულაციები, ელექტრონული სწავლების განათლების უახლეს საკანონმდებლო ცვლილებებთან მკაფიო შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით აკადემიურ სასწავლო გეგმაში ონლაინ სწავლების კომპონენტების აქტიური ინტეგრაციის მომზადებისას.
- სასურველია, შემუშავდეს ხელოვნური ინტელექტით გენერირებული შინაარსის შეფასების სპეციფიკური პოლიტიკა, AL პლაგიატის შესახებ კონკრეტული განმარტებებითა და შედეგებით შესაბამის სილაბუსებსა ან / და აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტებში (როგორიცაა უკვე არსებული დოკუმენტი - "როგორ აღმოვაჩინოთ და მოვახდინოთ პლაგიატზე რეაგირება").

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური საფუძვლის გაძლიერების მიზნით, დაინერგოს კვლევაზე დაფუძნებული შეფასებები, როგორიცაა ნაშრომი ან რთული მოდელირების დავალებები.
- რეკომენდებულია, ყველა შეფასება მკაფიოდ იყოს დაკავშირებული სწავლის შედეგებთან და რეგულარულად შემოწმდეს მათი ეფექტურობა.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს მკაფიო შეფასების რუბრიკები და სტუდენტებს მიეწოდოთ დეტალური უკუკავშირი მათი მოსწრების მოლოდინების გასაგებად.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს შეფასების მეთოდების რეგულარული გადახედვის და კორექტირების მექანიზმები რელევანტურობის და ხარისხის უზრუნველსაყოფად.
- რეკომენდებულია, "ბიზნესის ადმინისტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტში დაკორექტირდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა, კერძოდ გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი უარყოფით შეფასებებში და უარყოფითი შეფასებები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მინისტრის

ბრძანებით და დაწესებულების სამაგისტრო დებულებით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემასთან.

რჩევები: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.	**x**	☐	☐	☐
პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა.	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 - ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა	☐	☒	☐	☐

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კონსულტირებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის მხარდაჭერის კუთხით, დაწესებულებაში არსებობს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის მხარდაჭერას პირველი სასწავლო წლის დაწყებითანავე. ახალი სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან ადაპტაციის ხელშესაწყობის მიზნით, ისინი სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფილნი არიან ორკვირიანი საინფორმაციო შეხვედრებით. ელექტრონული საგანმანათლებლო პროცესის მართვის სისტემა არის კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების ძირითად პლატფორმა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ საჭირო რესურსები და დაუკავშირდნენ ლექტორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს თავიანთი ინდივიდუალური პროფილით.

უსდ-ში აკადემიური მხარდაჭერა ხორციელდება რამდენიმე გზით. დაწესებულებამ ხაზი გაუსვა, რომროგორც აკადემიურმა, ისე ადმინისტრაციულმა პერსონალმა განსაზღვრა კონსულტაციის საათები, რომელიც მათი სამუშაო დაყვირთვის ნაწილია. საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად, პირდაპირ მხარდაჭერას უწევს სტუდენტებს. სისტემა უზრუნველყოფს ინდივიდუალურ დახმარებას; სტუდენტებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ საგანმანათლებლო კურსები, რომლებიც შეესაბამება მათ ინტერესებს, თანაც მიიღონ ინფორმაცია სავალდებულო მოთხოვნების შესახებ. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელების ვალდებულებაა უზრუნველყონ მათი სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი და პროდუქტიული სასწავლო გარემო.

კარიერული განვითარების მხარდაჭერა დეტალურად არის აღწერილი კარიერული და სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრის სხვადასხვა ინიციატივებით. ცენტრი სთავაზობს რეგულარულ საკონსულტაციო საათებს სამშაბათს და ხუთშაბათს 12:00-დან 13:00 საათამდე; სტუდენტები იღებენ რჩევებს როგორ უნდა შეადგინონ რეზიუმე ან დაწერონ სამოტივაციო წერილი, რაც აუცილებელია კრიერული წინსვლისთვის. ცენტრი შეინარჩუნებს აქტიურ ჩართულობას სტუდენტებთან სოციალური ქსელის ჯგუფების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს დროულად ინფორმაციის გაზიარებას დასაქმების შესაძლებლობებისა და სასწავლო პროგრამების შესახებ.

დაწესებულება გამოიყენებს სხვადასხვა შესაძლებლობებს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით. სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო გაქტივობებში მათ შორის:

- საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პარტნიორობით (მობილობის პროგრამებით ERASMUS+ და ორმხრივი ხელშეკრულებებით)
- ყოველწლიური ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში;
- არაფორმალური განათლების აქტივობებში საჯარო ლექციებისა და სერტიფიცირებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით;
- რეგულარული ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან ყოველთვიური შეხვედრებისა და დამსაქმებელთა ფორუმების მეშვეობით;
- სტაჟირების შესაძლებლობებში, უნივერსიტეტის პარტნიორობა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორთან.

დაწესებულებამ ასევე დანერგა მხარდაჭერის მექანიზმები კონკრეტული სტუდენტური ჯგუფებისთვის, მათ შორის გამჭვირვალე პოლიტიკა სოციალურად დაუცველი სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რაც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და დამხმარე სერვისებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამები ახალია და არ არსებობს ამ სერვისების პრაქტიკული განხორციელების მტკიცებულებები, დაწესებულებას გააჩნია ამ სერვისების თეორიული ჩარჩოს პრაქტიკაში გადატანისა და სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის დემონსტრირების პოტენციალი.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფს სურს შესთავაზოს დაწესებულებას კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი მხარდაჭერის სერვისები, მას შემდეგ რაც პროგრამა ამოქმედდება და დაწესებულებას ეყოლება სტუდენტები. კერძოდ, დაწესებულებას შეუძლია:

- დანერგოს თანატოლთა მენტორობის სისტემა, სადაც მაღალი კურსის კურსდამთავრებულები უჭერენ პირველკურსელებს, რაც შეავსებს უსდ-ში მოქმედ ორიენტაციის პროგრამას. ეს უზრუნველყოფს უწყვეტ მხარდაჭერას მთელი აკადემიური წლის განმავლობაში და ხელს შეუწყობს უფრო ძლიერი სტუდენტური საზოგადოების ჩამოყალიბებას.
- მართალია მოქმედი ელექტრონული მართვის სისტემა ფუნქციონირებს, მაგრამ უნდა გააუმჯობესოთ სისტემა მობილური აპლიკაციის ვერსიის შემუშავებით, რათა იყოს უფრო ხელმისაწვდომი. სისტემა ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს საკონსულტაციო საათების ავტომატიზირებულ განრიგს და სწავლის ანალიტიკის ინტეგრირებას, რათა დაეხმაროს სტუდენტთა პროგრესსა და ჩართულობაზე თვალყურის დევნებას. ვირტუალური კონსულტაციის ვარიანტების დანერგვა მხარდაჭერის სერვისებს უფრო მოქნილს გახდის სტუდენტებისთვის, რომლებიც ვერ დაესწრებიან პირად შეხვედრებს.
- პარტნიორ ინსტიტუტებთან ერთად მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების ან საზაფხულო სკოლების განხორციელება. ვირტუალური საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების შექმნა საშუალებას მისცემს მეტ სტუდენტს მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება მოგზაურობის საჭიროების გარეშე.
- გააფართოვეთ საერთაშორისო უნივერსიტეტების პარტნიორობის ქსელი, რათა შესთავაზოთ სტუდენტებს მობილობის უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობები.
- დაამყარეთ მეტი პარტნიორობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან მეტი მხარდაჭერისა და სწავლის შესაძლებლობებისთვის, რაც გაზრდის სტუდენტთა პრაქტიკულ გამოცდილებას. სტუდენტების ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივი ინიციატივების განხორციელება დააკავშირებს საზოგადოებასა და უნივერსიტეტს და შეუქმნის სტუდენტებს ლიდერობის შესაძლებლობებს.
- გააფართოვეთ კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა მენტორთა ქსელის შექმნით, მომავალი სტუდენტების დაკავშირებით მათ ინტერესთა სფეროებში მომუშავე კურსდამთავრებულებთან. მიზნობრივი სემინარების, ტრენინგებისა და ქსელური ღონისძიებები დაგეგმვა ხელს შეუწყობს სტუდენტთა კარიერულ წინსვლს, ინდუსტრიის მოთხოვნების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;

- Policy of educational services for students with disabilities;
- კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი;
- უნივერსიტეტის წესდება;
- ბიზნესის სკოლის დებულება;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობა;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- დამატებით გამოთხოვნილი დოკუმენტაცია - მემორანდუმები;
- დამატებით გამოთხოვნილი დოკუმენტაცია - დაგეგმილი საკონსულტაციო მომსახურების განრიგი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-საიტი https://iut.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, დაინერგოს კოლეგიალური მენტორობის სისტემა მიმდინარე საორიენტაციო პროგრამის ფარგლებში, სადაც სტუდენტები დაეხმარებიან პირველკურსელებს.აღნიშნული უზრუნველყოფს უწყვეტ მხარდაჭერას მთელი აკადემიური წლის განმავლობაში და ხელს შეუწყობს უსდ-ში უფრო ძლიერი სტუდენტური საზოგადოების ჩამოყალიბებას.
- სასურველია, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ელექტრონული მართვის სისტემა გაძლიერდეს მობილური აპლიკაციის ვერსიის შემუშავებით.
- სასურველია, პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობით შემუშავდეს მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები ან საზაფხულო სკოლები.
- სასურველია, გაფართოვდეს საერთაშორისო უნივერსიტეტების პარტნიორობის ქსელი სტუდენტებისთვის უფრო მრავალფეროვანი მობილობის შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.
- სასურველია, ჩამოყალიბდეს მეტი პარტნიორობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან სერვისზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, რაც გააძლიერებს სტუდენტთა პრაქტიკულ გამოცდილებას. სტუდენტების მიერ მართული საზოგადოებრივი მომსახურების ინიციატივები გააძლიერებს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ კავშირებს და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ლიდერობის შესაძლებლობებს.
- სასურველია, გფართოვდეს უნივერსიტეტის სერვისები კურსდამთავრებულთა მენტორობის ქსელის შექმნით, რაც მომავალ სტუდენტებს დააკავშირებს მათი ინტერესის სფეროში მომუშავე კურსდამთავრებულებთან. სასურველია, განვითარდეს ინდუსტრიის სპეციფიკური კარიერული მიმართულებები მიზნობრივი სემინარების, ტრენინგების და ქსელური ღონისძიებების განხორციელებით, რაც უზრუნველყოფს უფრო სპეციალიზებულ კარიერულ მომზადებას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების საშუალებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა), მაგისტრატურა)

უსდ სტუდენტთა ხელმძღვანელებს არჩევს კარგად განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, აქტიურად იყოს ჩართული სამეცნიერო კვლევებში და ჰქონდეთ სამეცნიერო პუბლიკაციები. თანახელმძღვანელის დანიშვნა უფრო მოქნილი პროცესია, რომელიც თავისი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილებით ეხმარება სტუდენტს განახორციელოს კვლევა.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების დანიშვნა, შეცვლა, უფლება-მოვალეობები, აგრეთვე, ზოგადი სამეცნიერო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით და საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსით. აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის სემესტრულ დატვირთვაში, ნაშრომის ხელმძღვანელობთან დაკავშირებული საათობრივი დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 4 საათს. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული კონტრაქტის გარდა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით არ ფორმდება ცალკე ხელშეკრულება. შესაბამისად, სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტები, გარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების ფორმებისა, არის ზემოაღნიშნული მაგისტრატურის დებულება და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი.

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემას ირჩევს მაგისტრანტი ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სტუდენტი ირჩევს თემას, ათანხმებს მას პოტენციურ ხელმძღვანელთან და მიმართავს დეკანს ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე არაუგვიანეს სემესტრის პირველი სასწავლო კვირისა.

სამაგისტრო ნაშრომისთვის, შესაძლო ზოგადი თემები და მიმართულებები, ნაშრომის პერსპექტიული ხელმძღვანელის მითითებით, ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის და განახლდება ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. დეკანი სკოლის საბჭოს განსახილველად წარუდგენს სტუდენტის მიერ არჩეულ თემას და შეთანხმებული ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კანდიდატურას. სკოლის

საბჭო არაუგვიანეს მეორე სასწავლო კვირისა ამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომის თემებისა და ხელმძღვანელთა/თანახელმძღვანელთა სიას, რაც აისახება სკოლის საბჭოს სხდომის ოქმში.

მას შემდეგ, რაც სკოლის საბჭო დაამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომის თემას, სტუდენტი ხელმძღვანელთან ერთად იწყებს ნაშრომზე მუშაობას. ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლა სტუდენტის ინიციატივით შესაძლებელია მხოლოდ ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დანიშვნის შემდეგ პირველი ოთხი კვირის განმავლობაში. სკოლის მხრიდან ხელმძღვანელის ცვლილება, დასაქმების პირობების ან სხვა საფუძვლიანი მიზეზების გამო, შეეთანხმებული უნდა იყოს სტუდენტთან.

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემა შეიძლება შეიცვალოს თემის დამტკიცებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში. ნაშრომის სათაურის უმნიშვნელო რედაქტირება დასაშვებია, თუ მიმდინარე სემესტრის ნახევარი არ არის გასული.

მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების რეგულაციები არსებობს და გარკვეულწილად კარგად არის დეტალიზებული, სამაგისტრო ნაშრომების ხარისხისა და ზოგადად - კვლევის შედეგების შემდგომი გაძლიერების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს უსდ-ს სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურის გაუმჯობესების რამდენიმე მექანიზმს. სამაგისტრო ნაშრომის შესავალი თავი უნდა მოიცავდეს კვლევით კითხვებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიებისთვის. ეს კითხვები წარმოადგენს ფუნდამენტურ ჩარჩოს, რომელიც წარმართავს კვლევის მთელ პროცესს. მათი ფორმულირება არსებითია, რადგან ისინი ადგენენ კვლევის ზუსტ ფარგლებსა და მიმართულებას, რაც იძლევა კვლევის შედეგებზე მიზანმიმართული ფოკუსირების საშუალებას. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიების შემთხვევაში, ხდება ჰიპოთეზის ფორმულირება. ჰიპოთეზა არის სავარაუდო პროგნოზი, რომელი ახდენს თეორიული საფუძვლების დაკავშირებას ემპირიულ კვლევასთან. ჰიპოთეზის ფორმულირება არის ჩარჩო სტატისტიკური ანალიზისა და შედეგების შემდგომი ინტერპრეტაციისთვის, რაც აძლიერებს კვლევის მეცნიერულ სიზუსტეს.

შესავალ თავში მნიშვნელოვანია ლიტერატურის მიმოხილვის ქვეთავის არსებობა. ეს კომპონენტი წარმოადგენს კვლევის პროცესის განუყოფელ ნაწილს და სრულყოფილად უნდა იყოს განხილული შესავალ თავში. ლიტერატურის მიმოხილვა მნიშვნელოვანია, რადგან: აყალიბებს კვლევის თეორიულ საფუძველს, აჩვენებს კანდიდატის მიერ ამ სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომების საფუძვლიან გააზრებას, აიდენტიფიცირებს არსებულ ხარვეზებს და აკავშირებს წინამდებარე კვლევას უფრო ფართო აკადემიურ დისკურსთან.

ეს სტრუქტურული ცვლილებები უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის სწორად აგებას. ეს ცვლილებები უზრუნველყოფს არგუმენტების ლოგიკურად ფორმულირებას, საფუძვლიან თეორიული ჩარჩოს ფორმულირებას და მკაფიოდ ფორმულირებას, თუ რა წვლილი შეაქვს ამ კვლევას დარგის განვითარებაში. მეტიც, ეს ცვლილებები დაკავშირებულია საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან.

ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანაფარდობასთან დაკავშირებით, უსდ-ს აქვს დაწესებული რაოდენობრივი შეზღუდვა - თითოეულ ხელმძღვანელს ყავს 5 მაგისტრანტი თითოეულ სემესტრში. თანახელმძღვანელები ინაწილებენ ხელმძღვანელების პასუხისმგებლობებს და ხარისხიან ხელმძღვანელობას უწევენ სტუდენტებს.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მუშაობის ხარისხის შესაფასებლად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც წარმოადგენენ ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის განუყოფელ ნაწილს. ხელმძღვანელობის პროცესის ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება კითხვარები. ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და ექსპერტებს ჯერ არ აქვთ ხარისხის შეფასების შედეგები, ძნელია იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა ეს მექანიზმები ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას ან/და განვითარებას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, დაწესებულებამ განიხილოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესის შუალედური შეფასების განხორციელება, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამჟამად იკვლევს მხოლოდ საბოლოო შედეგებს, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდეგ. შუალედური შეფასების განხორციელება იძლევა სხვადასხვა გამოწვევების თავიდან აცილებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტურობის გაზრდის საშუალებას. მაგალითად, დაწესებულებას შეეძლო შემოეღო სამაგისტრო ნაშრომის „წინასწარი დაცვა“, სადაც როგორც ნაშრომის ხელმძღვანელი, ისე სტუდენტი წარმოადგენდნენ ნაშრომზე მუშაობისას მიღწეულ პროგრესს. გარდა ამისა, ნაშრომზე მუშაობის შუალედურ ეტაპზე შესაძლებელი იქნება მოკლე კითხვარის გავრცელება ან/და ნაშრომის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით მაგისტრანტებთან პირდაპირი ინტერვიუს ჩატარება.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა), მაგისტრატურა)	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	13

მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	15
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	13/15

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების (ლოჯისტიკის) სამაგისტრო პროგრამა
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- მაგისტრატურის დებულება;
- თანამდებობის დაკავების პოლიტიკა;
- სამაგისტრო პროგრამის პერსონალის კვლევითი საქმიანობა;
- დამატებითი გამოთხოვნილი დოკუმენტაცია - საგანმანათლებლო პროგრამაზე პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- დამატებითი გამოთხოვნილი დოკუმენტაცია - N29 - სტუდენტების მიერ კვლევითი კომპონენტის განხორციელების შეფასება;
- დამატებითი მოთხოვნილი დოკუმენტაცია - N30 - მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეფასება;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის/არქიტექტონიკის შეცვლა, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომის შესავალ თავში კვლევითი კითხვების

(ხარისხობრივი კვლევისთვის), ჰიპოთეზის (რაოდენობრივი კვლევისთვის) და ლიტერატურის მიმოხილვის ჩართვით.

რჩევები:

1. მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესში სამაგისტრო ნაშრომის შუალედური შეფასების გათვალისწინება „წინასწარი დაცვის“ გზით. გარდა ამისა, ნაშრომზე მუშაობის შუალედურ ეტაპზე შესაძლებელი იქნება მოკლე კითხვარის გავრცელება ან/და ნაშრომის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით მაგისტრანტებთან პირდაპირი ინტერვიუს ჩატარება.

.....

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა), მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა), მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამების კლასტერისათვის პერსონალის დაგეგმვამ წარმოშვა გარკვეული კითხვები მდგრადობასთან და აკადემიურ ხარისხთან დაკავშირებით.
მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან და ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამებს აქვთ შესაბამისი სტრუქტურები, გადაჭარბებით დამოკიდებულია მოწვეულ პერსონალზე. ეს დისბალანსი გავლენას ახდენს პროგრამებზე, რომ უზრუნველყოს თანმიმდევრული, კვლევაზე ორიენტირებული და მაღალი ხარისხის განათლება. სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალი აუცილებელია პროგრამის გრძელვადიანი განვითარების ხელშეწყობის, ინსტიტუციურ მიზნებთან შესაბამისობისა და სტუდენტებთან არსებითი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

ლოჯისტიკის სამაგისტრო პროგრამა კიდევ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. პერსონალის რაოდენობა არასაკმარისია პროგრამის პრაქტიკული და კვლევითი მიზნების მისაღწევად. ლოჯისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში სპეციალიზებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაკლებობა მოწყვლადს ხდის პროგრამის მიზნებსა და მის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი,

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედია, საჭიროებს შემდგომ განვითარებას, სამაგისტრო საფეხურის ლოგისტიკის პროგრამის უნიკალური საჭიროებების მხარდასაჭერად.

როგორც კლასტერი, ისე პროგრამების შეფასებისას გამოჩნდა, რომ აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ მოწვეულ პერსონალს აქვს პრაქტიკული გამოცდილება, ისინი დროებით არიან უსდ-ში დასაქმებულნი, რაც ზღუდავს მათ კვლევებში, სასწავლო გეგმის შემუშავებასა და ინსტიტუციურ განვითარებაში მონაწილეობას. შესაბამისად, სრულ განაკვეთზე აკადემიური პერსონალის დასაქმება მნიშვნელოვანია კლასტერის პროგრამების ხარისხისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ინგლისურენოვანი - ბაკალავრიატი და ქართულენოვანი - ბაკალავრიატი):

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამების საკადრო მოწყობა დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან.. თუმცა, ამჟამინდელი მდგომარეობა აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პროცესი დამოკიდებულია მოწვეულ პერსონალზე. კერძოდ, პროგრამაზე 6-7 სრული განაკვეთით დასაქმებული აკადემიური პერსონალია, ხოლო მოწვეული პერსონალის რაოდენობა გაცილებით დიდია. ეს თანაფარდობა იწვევს შეშფოთებას პროგრამების მდგრადობასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. ასევე, განსაკუთრებით, კვლევის შედეგებთან, სამეცნიერო ხელმძღვანელობასთან და სწავლების ხარისხის თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის პერსონალს აქვს საჭირო კომპეტენციები, რათა დაეხმაროს სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, სრული განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის მცირე რაოდენობა გავლენას ახდენს უსდ-ს ფართო აკადემიურ პასუხისმგებლობაზე, როგორიცაა კვლევების განვითარება და სასწავლო გეგმის გაუმჯობესება.

მოწვეულ პერსონალს, მიუხედავად იმისა, აქვს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება, ისინი ხშირად არ ერთვებიან გრძელვადიან აკადემიურ დაგეგმვასა და ინსტიტუციურ ინიციატივების განვითარებაში. სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა აღმოფხვრიდა ზემოხსენებულ ხარვეზსს და შექმნიდა უფრო მყარ აკადემიურ საფუძველს.

ბიზნესის ადმინისტრირების თითოეული საბაკალავრო პროგრამისხელმძღვანელს აქვს შესაბამისი ცოდნა და ჩართულია პროგრამის განხორციელებაში , ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი აუცილებელ დახმარებას უწევს სტუდენტებს. თუმცა, პროგრამების გადაჭარბებული დამოკიდებულება მოწვეულ პერსონალზე აჩენს კითხვებს პროგრამების მდგრადობასა და მათ უსდ-ს მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობის შესახებ. სრულ განაკვეთზე დასაქმებული

პერსონალის რაოდენობის ზრდა გააუმჯობესებს პროგრამების კვლევით შესაძლებლობებს, სწავლების თანმიმდევრულობას და ხელს შეუწყობს სტუდენტებთან უფრო ღრმა ჩართულობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამების წარმატებასა და სანდოობას.

აღწერა და ანალიზი

პროგრამა 1 (ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი მიმართულებით გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	7	7	7	1
- პროფესორი	4	4	4	-
- ასოცირებული პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტ–პროფესორი	3	3	3	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	18	12	18	_
სამეცნიერო პერსონალი				_

პროგრამა 2 (ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი მიმართულებით გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	6	6	6	1
- პროფესორი	4	4	4	-
- ასოცირებული პროფესორი	-	-	-	-

- ასისტენტ–პროფესორი	2	2	2	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	8	8	8	_
სამეცნიერო პერსონალი				_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა), მაგისტრატურა)

ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამის საკადრო პოლიტიკა გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კომპეტენციას= და ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, მაგისტრატურის დონის ლოგისტიკის პროგრამისათვის საჭირო კონკრეტული ექსპერტიზა, ნაკლებად დასტურდება. პროგრამისთვის მნიშვნელოვანია ისეთი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვა, რომლებსაც ექნებოდათ შესაბამისი კვალიფიკაციები და პრაქტიკული გამოცდილება ლოჯისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის მიმართულებით.

გარდა ამისა, პროგრამის პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა არასაკმარისია პრაქტიკული და კვლევაზე ორიენტირებული სწავლის განსახორციელებლად. ლოგისტიკის სფეროში სპეციფიური გამოცდილების მქონე პერსონალის არარსეობა აფერხებს პროგრამის შესაბამისობას მიზნებთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს საბაზისო დახმარებას, თუმცა მათი კომპეტენციები უნდა განვითარდეს, რომ შეძლონ პროგრამის სპეციფიკური საჭიროებების უზრუნველყოფა.

პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი მიმართულებით გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	6	6	6	1
- პროფესორი	4	4	4	-
- ასოცირებული პროფესორი	-	-	-	-

- ასისტენტ–პროფესორი	2	2	2	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	8	8	8	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- თანდართული დოკუმენტები,
- ადგილზე ვიზიტის დაკვრივებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, მუდმივ და მოწვეულ პერსონალს შორის უკეთესი ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით.

კლასტერის ზოგადი რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის მიმართულებით, მოწინავე კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრებით.

1.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, ისევე როგორც სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია განმარტავს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის

გამოცდილება, აქტიურად მონაწილეობდეს სამეცნიერო კვლევებში ან ჰქონდეს სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი თემისა და მიმართულების შესაბამისი პუბლიკაციები.

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად, თანახელმძღვანელად შეიძლება დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირები, თუ მათ აქვთ არსებითი პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის სფეროში.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ძირითადად ეხმარება სტუდენტს არჩეულ თემაზე კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ეს მოიცავს სტუდენტისთვის რჩევებისა და ინსტრუქციების მიწოდებას კვლევის პროცესთან დაკავშირებით, კონკრეტული გამოწვევების მოგვარებას და პროგრესის მონიტორინგს,რომ სტუდენტი მიჰყვეს კარგად სტრუქტურირებულ კვლევის გეგმას. ხელმძღვანელი ასევე ამოწმებს კვლევის ხარისხისა და კვლევითი მიზნების თანმიმდევრულობას, პროგრესის მონიტორინგის თითოეულ ეტაპზე.

როგორც აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუს დროს განმარტა, რომ დისერტაციის დასრულების შემდეგ, ხელმძღვანელი წერს ფორმალურ შეფასებას ან დასკვნას, რომელიც თან ერთვის წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომს.

ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა აერთიანებს13 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელთაგან 4 უნივერსიტეტის პროფესორია, 2 ასისტენტ-პროფესორი და 7 მოწვეული პერსონალი. ყველა ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, შესაბამისი გამოცდილება და განათლება, რათა ეფექტურად უხელმძღვანელოს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, ხელმძღვანელებთან ინდივიდუალურმა კომუნიკაციამ აჩვენა მათი მოტივაცია და მზადყოფნა, რომ მხარი დაუჭირონ სტუდენტებს, სამომავლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორების თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან (6:7) იწვევს მდრადობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ხელმძღვანელების საერთო რაოდენობა და კვალიფიკაცია საკმარისია პროგრამის მიზნების მხარდასაჭერად და აკადემიური სტანდარტების უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	13	13	1
- პროფესორი	4	4	-
- ასოცირებული პროფესორი	-	-	-
- ასისტენტ–პროფესორი	2	2	1
მოწვეული პერსონალი	7	7	_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- [სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია]
- პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსები (დანართი 5).
- განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები (დანართი 5)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვის მიმართულებით მოწინავე კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრებით.

რჩევები:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა კარიერული განვითარების ხელშეწყობა დაასახელა მათ მთავარ პრიორიტეტად. ეს ითვალისწინებს პერსონალის უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, რათა მათ შეძლონ დაკისრებული პასუხისმგებლობების შესაბამისად შესრულება. დაწესებულება

ადასტურებს, რომ ყველა თანამშრომელს, განურჩევლად მათი როლისა და მიმართულებისა, ეძლევა თანაბარი შესაძლებლობები პროფესიული წინსვლისთვის და კარიერული განვითარებისთვის.

უნივერსიტეტი რეგულარულად აფასების პროგრამის პერსონალს, სწავლებას, კვლევას და შემოქმედებით ან საშემსრულებლო აქტივობებს და იღებს უკუკავშირს პერსონალის კმაყოფილების კვლევებიდან. ეს შედეგები იძლევა ინფორმაციას პერსონალის განვითარების შესახებ და განაპირობებს შემდგომი დაწინაურებისა და მხარდაჭერის გადაწყვეტილებებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფასდება ხარისხის მართვის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ შეფასებას, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას და თვითშეფასებას. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის გამოიყენება შეფასების ყოვლისმომცველი სისტემა, მათ შორის 180 გრადუსიანი შეფასების მექანიზმი. უახლოეს მომავალში იგეგმება 360 გრადუსიანი სისტემის დანერგვა.

უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან თანამშრომლობით, პასუხისმგებელია პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ეს გეგმა განიხილება ყოველწლიურად, რათა იყოს საჭიროებებზე მორგებული და მოიცავს კონკრეტულ კრიტერიუმებს შედეგების შესაფასებლად. პროფესიული განვითარების პროგრამები შექმნილია კომპეტენციების განვითარების მიზნით, სწავლების მეთოდების, კვლევის, ტექნოლოგიების გამოყენებისა და სასწავლო გეგმის შემუშავების მიმართულებით. ადმინისტრაციული პერსონალის განვითარება ფოკუსირებულია ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და გადაწყვეტილების მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა გამოყო რესურსები პროფესიული განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, მათ შორის გაცვლით პროგრამებსა და შიდა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისათვის, შეიმჩნევა გარკვეული ხარვეზები. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული CV-ები არ შეიცავს სრულ ინფორმაციას პერსონალის პუბლიკაციებისა და საქმიანობის შესახებ, განსაკუთრებით ლოგისტიკასთან დაკავშირებულ სფეროებში. უფრო მეტიც, სამაგისტრო პროგრამაში ჩართული ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს არ გააჩნია მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება ან სამეცნიერო წვლილი ლოჯისტიკის სფეროში, რაც ხაზს უსვამს მიზნობრივი ტრენინგის საჭიროებას.

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიულ განვითარებას მათ შეფასებებზე რეაგირების, ტრენინგების დაგეგმვისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით.მართალია, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამები აჩვენებენ შესაბამისობას სტანდარტებთან; ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა კი საჭიროებს გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრას პერსონალისა

გამოცდილებისა და მათი სამეცნიერო ჩართულობის მიმართულებით.. ამ ხარვეზების აღმოფხვრით, უნივერსიტეტს შეუძლია გააუმჯობესოს პროგრამების საერთო ხარისხი და მდგრადობა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)

ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა არის ქართულენოვანი პროგრამის მსგავსი საკადრო მოწყობისა და პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავების თვალსაზრისით. პერსონალის შეფასებები, მათი მუდმივი განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა აჩვენებს, რომ უნივერსიტეტის მიზანია ხარისხის უზრუნველყოფა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ქართულენოვანი ბაკალავრიატი)

სტუდენტების მხარდაჭერისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, ქართულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა აერთიანებს კვალიფიციურ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პერსონალის სწავლებისა და კვლევის შესაძლებლობების გაძლიერების მიზით ხორციელდება პერსონალის შეფასებები და შესაბამისი განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)

ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამას, პერსონალის კომპეტენციების თვალსაზრისით, აქვს გამოწვევა. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ში არსებობს პროფესიული განვითარების ზოგადი მექანიზმები, ზოგიერთ პერსონალს არ აქვს მოწინავე პრაქტიკული გამოცდილება და მნიშვნელოვანი სამეცნიერო წვლილი ლოჯისტიკის სფეროში. ეს ხარვეზი კი გავლენას ახდენს პროგრამის უნარზე, რომ სრულად მიაღწიოს დადგენილ სწავლის შედეგებს. პერსონალის ტრენინგები ფოკუსირებული უნდა იყოს ლოგისტიკის მიმართულებით კონკრეტული ცოდნისა და კვლევითი უნარების განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვებ-გვერდი
- ინტერვიუები პერსონალთან
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისადმი უნივერსიტეტის მიდგომები და სტრატეგია
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დარგის სპეციფიკური კომპეტენციების განვითარების მიზნით, "ბიზნესის ადმინიტრირების (ლოგისტიკა)" სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ჩატარდეს მიზნობრივი ტრენინგები.
- რეკომენდებულია, პერსონალის რეზიუმეებში აისახოს სრულყოფილი მონაცემები პუბლიკაციების, პროექტების და სხვა რელევანტური სამეცნიერო აქტივობების შესახებ.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს შესაძლებლობები პერსონალისთვის კვლევებში მონაწილეობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და მათ შესაბამის დისციპლინებში ტრენინგ პროგრამების მხრივ.

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)

რეკომენდაცები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს სტრუქტურირებული გეგმა აკადემიური პერსონალის ლოგისტიკასთან დაკავშირებული ცოდნის გასაუმჯობესებლად სემინარების, კვლევითი შესაძლებლობების და ინდუსტრიის პროფესიონალებთან პარტნიორობის მეშვეობით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☐	**x**	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის აკადემიური პროგრამების ადმინისტრირება და სასწავლო კურსები ხორციელდებაუნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო შენობაში. ეს ობიექტი აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო გარემოს. იგი მოიცავს საკლასო ოთახებს, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით და სხვა საჭირო სასწავლო აღჭურვილობით. გარდა ამისა, საგამოცდო ცენტრები და ბიბლიოთეკა უზრუნველყოფენ დამატებით რესურსებს როგორც სტუდენტების, ასევე ლექტორების მხარდასაჭერად.

კამპუსის უსაფრთხოებისათვის შექმნილია უსაფრთხოების სპეციალური დანაყოფი შენობების, აღჭურვილობისა და მთლიანი გარემოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კამპუსი აღჭურვილია ლიფტით და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაღებად.

- გარდა ამისა, ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებთან, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს გლობალურ აკადემიურ რესურსებზე სტუდენტების წვდომას. ხელმისაწვდომი ძირითადი მონაცემთა ბაზები მოიცავს:Cambridge Journals Online

- SAGE Premier
- https://journals.sagepub.com

ეს რესურსები კატალოგირებულია ელექტრონულად და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტის მეშვეობით https://iut.edu.ge/biblioteka/eleqtronuli-biblioteka/

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს განათლების მენეჯმენტის ელექტრონული სისტემა, რათა გაზარდოს სტუდენტების ჩართულობა და გააუმჯობესოს აკადემიურ პროგრესზე თვალყურის დევნება. ეს სისტემა ხელმისაწვდომია თითოეული სტუდენტის პერსონალიზებული პორტალის მეშვეობით (სტუდენტური პორტალი) და წარმოადგენს ცენტრალიზებულ პლატფორმას სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ეფექტური კომუნიკაციისათვის. პორტალი უზრუნველყოფს წვდომას ძირითად რესურსებზე, მათ შორის კურსების სილაბუსებზე, შეფასების კრიტერიუმებზე, გამოცდების განრიგსა და ოფიციალურ განცხადებებზე, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ და გამჭვირვალე აკადემიურ გამოცდილებას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა სწავლისთვის აუცილებელ რესურსებს, მათ შორის კეთილმოწყობილ ბიბლიოთეკას და საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე წვდომას. განათლების მართვის ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და აკადემიურ ინფორმაციაზე მარტივ წვდომას. საერთო ჯამში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის გარემოს აკადემიური სწავლისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)

ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის საკლასო ოთახები, მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონალურია, გარკვეულწილად მოძველებულია და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების უკეთ დასაკმაყოფილებლად კარგი იქნებოდა მათი მიზნობრივი გაუმჯობესება. როგორც შედარებით ახალი დაწესებულება, ამ პროგრამისთვის სასწავლო სივრცის მოდერნიზაციის პრიორიტეტულობა შესაბამისობაში მოიყვანდა მას უმაღლესი განათლების საუკეთესო პრაქტიკასთან და გააუმჯობესებდა საერთო აკადემიურ გარემოს. ასეთი განახლებები ხელს შეუწყობდა უნივერსიტეტის ვალდებულებას უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სასწავლო გამოცდილება, რომელიც შეესაბამება მისი სტუდენტების განვითარებად საჭიროებებსა და მოლოდინებს.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც აუცილებელი, ასევე, დამატებითი ლიტერატურით, როგორც ეს მითითებულია კურსების სილაბუსებში, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობას. ციფრული რესურსებისა და კვლევის მონაცემთა ბაზების გაფართოებაში განგრძობადი ინვესტიცია კიდევ უფრო გააძლიერებს ბიბლიოთეკის როლს სტუდენტებისა და პერსონალის აკადემიური და კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ქართულენოვანი ბაკალავრიატი)

ქართულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის საკლასო ოთახები ინგლისურენოვანი პროგრამის ანალოგიურ მდგომარეობაშია: ისინი ფუნქციონალურია, მაგრამ მოძველებულია და კარგი იქნებოდა მათი მოდერნიზაცია. ამ სასწავლო სივრცეების განახლება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საგანმანათლებლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების - ჩართული და დამხმარე აკადემიურ გარემოს უზრუნველყოფას. მოდერნიზებული საკლასო ოთახები ასევე უკეთ დაინერგებოდა სწავლების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები.

ქართულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის საბიბლიოთეკო რესურსები სათანადოდ შეესაბამება სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და სთავაზობს როგორც აუცილებელ, ისე დამატებით ლიტერატურას, როგორც ეს მოცემულია კურსების სილაბუსებში. ციფრული წვდომის გაზრდამ და ლოჯისტიკის სპეციფიკური მონაცემთა ბაზების დანერგვამ შეიძლება დამატებითი მნიშვნელობა შეიძინოს სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დაინტერესებულია სპეციალიზებული სფეროებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)

ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამისთვის გამოყენებული საკლასო ოთახები ისეთივე ზოგად მახასიათებლებით ხასიათდება, როგორც ბაკალავრიატის პროგრამებისთვის: ისინი ფუნქციონალურია, მაგრამ საჭიროებენ მიზნობრივ გაუმჯობესებას, რათა დააკმაყოფილონ სამაგისტრო დონის პროგრამის მოლოდინები. ვინაიდან ლოგისტიკა არის დინამიური და ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სფერო, ამ სასწავლო სივრცის მოდერნიზება მოწინავე ტექნოლოგიური ინსტრუმენტებისა და რესურსების ჩათვლით, შეესაბამისობაში მოვიდოდა პროგრამის მიზნებსა და ინდუსტრიის სტანდარტებთან.

საბიბლიოთეკო რესურსები, რომლებიც მხარს უჭერენ ლოჯისტიკის სამაგისტრო პროგრამას, აკმაყოფილებს კურსის სილაბუსებში მითითებულ მინიმალურ მოთხოვნებს. თუმცა, პროგრამა სარგებელს მიიღებდა უფრო ძლიერი აქცენტით ლოჯისტიკის სპეციფიკურ რესურსებზე, მათ შორის ინდუსტრიის ანგარიშებზე, სპეციალიზებულ ჟურნალებსა და პროფესიონალურ მონაცემთა ბაზებზე წვდომით. ასეთი გაუმჯობესებები გააძლიერებდა პროგრამის აკადემიურ საფუძველს და დაეხმარებოდა სტუდენტებს მოწინავე კვლევისა და პრაქტიკული კომპეტენციების მიღწევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ადგილზე დათვალიერება
- ბიბლიოთეკის კატალოგი და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა;
- უნივერსიტეტის ვებ-საიტი; https://iut.edu.ge
- ელექტრონული ბაზები;https://iut.edu.ge/biblioteka/eleqtronuli-biblioteka/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უნივერსიტეტმა პრიორიტეტად დაისახოს სასწავლო ოთახების მოდერნიზება. სასწავლო სივრცეების განახლება გააუმჯობესებს აკადემიურ გარემოს და ასახავს დაწესებულების მზაობას უზრუნველყოს მაღალი ხარისხის, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გამოცდილება.
-

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კლასტერის პროგრამებისათვის ფინანსური რესურსების გამოყოფა (რომელიც მოიცავს ინგლისურენოვან და ქართულენოვან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამებსა და ლოჯისტიკის სამაგისტრო პროგრამას) აჩენს კითხვებს პროგრამების მიზანშეწონილობასა და მდგრადობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი ბიუჯეტი არასაკმარისია ამ პროგრამების აკადემიური და ოპერატიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მაშინ, როდესაც შემოსავლების პროგნოზები გაურკვეველია, დანახარჯები - განსაკუთრებით პერსონალსა და ობიექტებზე - ხაზს უსვამს ფინანსური თვითკმარობის მისაღწევად არსებულ გამოწვევებს.

ბიუჯეტი ასახავს შეზღუდულ ფინანსურ რესურსებს ისეთ ძირითად სფეროებზე, როგორიცაა პერსონალი, ინფრასტრუქტურა და პროგრამისათვის სპეციფიკური ინვესტიციები. კერძოდ, პერსონალის ხარჯები შესამჩნევად დაბალია, რაც აჩენს ეჭვს იმის თაობაზე, რომ მაღალი ხარისხის განათლების მისაწოდებლად შესაძლებელია საჭირო გამოცდილების მქონე კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება. პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები მნიშვნელოვნად დაბალია, რაც გადამწყვეტია აკადემიური სტანდარტების შესანარჩუნებლად.

ნაგებობასთან დაკავშირებული ხარჯები, ბიბლიოთეკაში, საკლასო ოთახებსა და სპეციალიზებულ რესურსებში ინვესტიციების ჩათვლით, მწირი ჩანს. ეს შეუსაბამობა ზღუდავს დაწესებულების შესაძლებლობას უზრუნველყოს ეფექტური სწავლისა და პრაქტიკული ჩართულობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამისათვის, რომელიც ინდუსტრიის სპეციფიკური გამოწვევების გადასაჭრელად მოითხოვს სპეციალიზებულ რესურსებს.

ფინანსური გეგმა ბუნდოვანია შემოსავლების ნაკადებთან დაკავშირებით, რაც ართულებს პროგრამების თვითკმარობის მიღწევის შესაძლებლობის შეფასებას. შემოსავლის წყაროების მკაფიო გაგების გარეშე - იქნება ეს სწავლის საფასურიდან, გარე დაფინანსებით თუ სხვა საშუალებებით - პროგრამების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა რჩება საეჭვო. შეზღუდული დანახარჯებისა და შემოსავლების გაუკვევლობის გათვალისწინებით, პროგრამები გრძელვადიან პერსპექტივაში არიან არასაკმარისი დაფინანსებისა და არამდგრადობის რისკის ქვეშ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინსიტრირება, ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)

ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფინანსური გეგმა მოიცავს გარკვეულ შეზღუდვებს. პერსონალის ხარჯები მინიმალურია, რას საეჭვოს ხდის პროგრამის კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფას, რომელიც თავისმხირვ მნინშვნელოვანია სასწავლო

გეგმის საერთაშორისო სტანდატებთან შესაბამისობასი მოსაყვანად. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ასიგნაციებიც მოკრძალებულია, რაც ზღუდავს პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის შესაძლებლობას და თანამედროვე ბიზნეს განათლებით უზრუნველყოფას. შემოსავლების უფრო მკაფიო პროგნოზების ან სტრატეგიული ინვესტიციების გარეშე, პროგრამის მდგრადობა და შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ბუნდობანია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინსიტრირება, ქართულენოვანი ბაკალავრიატი)

იდენტური საბიუჯეტო პრობლემების წინაშე დგას ქართულენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, რადგან პერსონალისა და ობიექტებისთვის გამოყოფილი რესურსები მინიმალურია. ინგლისურენოვან და ქართულენოვან პროგრამებს შორის ბიუჯეტის დაგეგმვისას დიფერენცირების ნაკლებობა ხაზს უსვამს უფრო ფართო გამოწვევებს რესურსების კუთხით. ადგილობრივი ბაზრის მომსახურების გათვალისწინებით, პროგრამისთვის განვითარებისთვის სასარგებლო იქნებოდა ინვესტიციების ჩადება ფაკულტეტის პროფესიული განვითარების მიმარტულეით და კავშირების გაძლიერება ქართულ ბიზნესთან პროექტის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)

ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოითხოვს უფრო მაღალ ინვესტიციებს სპეციალიზებულ რესურსებსა და პერსონალის განვითარ4ების მხრივ, საბიუჯეტო გამოწვევების წინაშე დგას. პერსონალის მიმართულებით გამოყოფილი დაბალი ხარჯები აჩენს კითხვებს ლოჯისტიკური მიმართულებით ცოდნის მქონე პერსონალის მოზიდვის შესაძლებლობის შესახებ. ანალოგიურად, ინფრასტრუქტურისათვის გამოყოფილი მინიმალური ასიგნებები ზღუდავს პროგრამის შესაძლებლობას უზრუნველყოს პრაქტიკული, ინდუსტრიის შესაბამისი სწავლება. დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდისა და სტრატეგიული დაგეგმვის გარეშე, პროგრამა ნაკლებად სავარაუდოა, რომ დააკმაყოფილებს სწავლების მაგისტრატურის საფეხურზე არსებულ სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- თანდართული დოკუმენტები,
- ადგილზე ვიზიტის დაკვრივებები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს სათანადო რესურსები კვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების მიზნით, პროგრამების საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.
- რეკომენდებულია, ინვესტირება ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით ლოგისტიკის სპეციფიკური ობიექტების და საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტების სწავლის და პრაქტიკული მომზადების მხარდასაჭერად.
- რეკომენდებულია, გამჭვირვალედ და დეტალურად ჩაიშალოს მოსალოდნელი შემოსავლები, ფინანსური მდგრადობის შეფასების უზრუნველსაყოფად.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს ფინანსური სტრატეგია მარკეტინგის, აკადემიური პერსონალის და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, რომ უზრუნველყოფილი იქნას პროგრამების განვითარება და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: ვრცელდება მთელ კლასტერზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☐	**x**	☐	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☐	☐	**x**	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი არის ახლად ავტორიზებული დაწესებულება, რომელსაც ჯერ არ ჰყავს სტუდენტები და არა აქვს აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები. უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (No 968313) გადაწყვეტილებით 2024 წლის 13 აგვისტოს. უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და არსებული რესურსების მუდმივ შეფასებას (https://iut.edu.ge/en/chven/khariskhis-martva/).

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში. უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული კონკრეტული მიზნის მიღწევის მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტის ყველა დანაყოფი ჩართულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის განხორციელებაში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვადასხვა დონის მმართველობასთან: პარტნიორთა კრებასთან,

რექტორთან, პრორექტორთან, მრჩეველთა საბჭოსთან, უნივერსიტეტის საბჭოსთან, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, ბიზნესის სკოლასა და პროგრამის მხარდამჭერ სტრუქტურებთან/კომიტეტებთან.

ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრებს ფაკულტეტის თანამშრომლებთან ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მოთხოვნებისა და საქართველოს უმაღლესი განათლების რეგულაციების განსახილველად. მან ასევე განიხილა პროგრამის თვითშეფასების პროცესში შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვის ღონისძიებები. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მხარს უჭერდა და აკონტროლებდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიმდინარე პროცესს.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ჩაატარა ტრენინგი თვითშეფასების მეთოდოლოგიაზე. შეხვედრები ასევე მოეწყო Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესი იყო თანამონაწილეობითი. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსია განხილულ იქნა სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, სადაც ჯგუფის თითოეულ წევრს და დაინტერესებულ მხარეს გაეცნო თვითშეფასების ანგარიშის შინაარსი და მონაცემები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების, ასევე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კლასტერად დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჩასატარებლად შექმნილ იყო სპეციალური სამუშაო ჯგუფი.

თვითშეფასების ჯგუფს კოორდინაციას უწევდნენ რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელები და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლები, ასევე სამი პროგრამის შემმუშავებელი კომიტეტი (თითო კომიტეტი თითო საგანმანათლებლო პროგრამაზე) სრული შემადგენლობით. დავალებები მიეცა ჯგუფის თითოეულ წევრს. სტანდარტების შესაბამისად შესასრულებელი სამუშაო გადანაწილდა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს შორის.

ინფორმაციის დასაზუსტებლად და გასაანალიზებლად თვითშეფასების ჯგუფის წევრები სისტემატურად იკრიბებოდნენ სამუშაო შეხვედრებზე. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა განიხილა თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და ფაკულტეტმა ჯგუფის წევრებს გაუწიეს კონსულტაცია და დახმარება თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის მომზადებაში.

რეკომენდაცია: რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველი თვითშეფასება, რათა გამოავლინოს გამოწვევები და თავიდან აიცილოს საგანმანათლებლო პროგრამების ხარვეზები (ზემოთაა აღნიშნულია 1-4 სტანდარტების ნარატიულ ნაწილებში).

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დანერგილია უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის პრინციპით - PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე). ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულ ყველა ელემენტს. ეს არის უნივერსიტეტის მართვის პროცესის განუყოფელი ნაწილი: დაგეგმვა, ორგანიზება და მონიტორინგი. სისტემა ოპერირებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში და ეფუძნება იმ ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებიც წარმართავს უნივერსიტეტს მის ფუნქციონირებაში.

ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის უნივერსიტეტმა მიიღო უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისებით სარგებლობის დებულება, რათა უზრუნველყოფილიყო ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ადაპტაცია დისტანციური/ელექტრონული/ჰიბრიდული სწავლის პროცესისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-საიტი https://iut.edu.ge/en/;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი;
- ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ;
- პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების კითხვარი;
- თვითშეფასების ჯგუფის/პროგრამის კომიტეტების/ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები;
- უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან შედარების/ბენჩმარკინგის შეხვედრების ოქმები/დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე ადგილობრივი და უცხოელი კოლეგების შეფასებები;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესები;
- ელექტრონული სწავლების წესი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი;
- საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების გაკვეთილების პოტენციური განრიგი/გაკვეთილების გრაფიკი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- სტუდენტების რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წლიური გეგმა;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და დარგის პარტნიორებთან;
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველი თვითშეფასება პროგრამების

გამოწვევების გამოვლენისა და ხარვეზების პრევენციის მიზნით (მითითებულია, 1-4 სტანდარტების აღწერილობით ნაწილში).

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება დებულებას „საგანმანათლებლო

დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ“ და დებულებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესახებ“.

უნივერსიტეტმა, ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში და სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (ლოგისტიკა) განიხილულ იქნა საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების თანახმად. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) შემუშავდა და დამტკიცდა უნივერსიტეტის საბჭოს მიერ მოგვიანებით, 2024 წლის სექტემბერში, მას შემდეგ რაც უნივერსიტეტმა მიიღო ავტორიზაცია.

პროგრამებში ჩართულმა პერსონალმა გაითვალისწინა ავტორიზაციისას გარე ექსპერტების მიერ მიღებული რეკომენდაციები და შეიტანა შესაბამისი ცვლილებები პროგრამებში. პროგრამებში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილეს პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა.

კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამა შეფასდა ადგილობრივი და უცხოური უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების/კვლევითი ცენტრების ექსპერტების მიერ. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა შედარდა ბიზნესის ადმინისტრირების ეროვნული დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტთან.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის პერიოდული გარე შეფასება განხორციელდება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. მხედველობაში იქნება მიღებული დარგის პროფესიონალების, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების, როგორიცაა კურსდამთავრებულები, გამოკითხვის შედეგები. მხედველობაში იქნა მიღებული პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის შედეგებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-საიტი https://iut.edu.ge/en/;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;

- საგანმანათლებლო პროგრამების გარე ადგილობრივი და უცხოელი კოლეგიალური შეფასებები;
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: **არ არის მითითებული.**

კლასტერის საერთო რჩევები: **არ არის მითითებული.**

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): **არ არის მითითებული.**

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ინგლისურენოვანი ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი პერიოდულად აკონტროლებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარისხს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები, რჩევები შესაძლო ცვლილებების შესახებ და დასკვნები საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად ამოწმებს ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს (მათ შორის სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის ფიზიკურ მდგომარეობას, რაოდენობასა და სილაბუსებთან შესაბამისობას).

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისს, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, რათა მიიღოს გამოხმაურება ყველა დაინტერესებული მხარისაგან და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხი. იგი ასევე აანალიზებს საკლასო ოთახში დაკვირვების შედეგებს. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს სწავლების ხარისხის ამაღლებისა და პროგრამების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. იგი ასევე აანალიზებს დარგის სპეციალისტების მოსაზრებებს და რეკომენდაციებს და ადარებს არსებულ პროგრამებს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს.

უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვებს, ყოველი სემესტრის ბოლოს კი გამოკითხვებს ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსების შესაფასებლად.

ასეთი კომპლექსური ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტურობას და საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის სთავაზობს პროგრამის პერსონალს რეკომენდაციებსა და რჩევებს.

პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში დაწესებულება ასევე აფასებს პროგრამის დასახული მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი წარმოადგენს თავად პროგრამის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას და სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს. ეს არის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის

არაპირდაპირი შეფასება. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული შედეგის შეფასების პირდაპირი მეთოდით, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით არ არის რეკომენდებული.

პროგრამის ხელმძღვანელებთან და დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სრულად ამოქმედდება მომავალში. პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად უნდა გამოიყენოს სასწავლო კურსების კონკრეტული შეფასების კომპონენტი/აქტივობა მესამე დონის (განმტკიცების დონე), რომელიც პირდაპირ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

რეკომენდაცია: პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უშუალო შეფასებად უნდა გამოიყენოს სასწავლო კურსების კონკრეტული შეფასების კომპონენტი/აქტივობა მესამე დონის (განმტკიცების დონე), რომელიც პირდაპირ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ცალკეულ კურსებში შეფასების სისტემა გამომწვევია. მაგალითად, ბევრ სასწავლო კურსში შეფასების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია „ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტი“. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტების სწავლის შედეგები განსხვავებულია. ასე რომ, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, უნდა ჰქონდეთ თუ არა სტუდენტებს ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტები კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად. ჯგუფური პროექტების შემთხვევაში სილაბუსში არ წერია და პერსონალის პასუხიც ბუნდოვანი იყო იმის თაობაზე, თუ როგორ განისაზღვრება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი.

რეკომენდაცია: საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში სასწავლო კურსების შინაარსის, პროგრამის სტრუქტურისა და სწავლის შედეგების შეფასებისას უნივერსიტეტმა უნდა გამოავლინოს და თავიდან აიცილოს უზუსტობები პროგრამის სწავლის შედეგების, სწავლება-სწავლის მეთოდების, აგრეთვე შეფასების მეთოდების და ა.შ. ფორმულირებაში. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკაში მითითებული იყოს, თუ როგორ ფასდება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი ჯგუფური პროექტის შემთხვევაში. შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად უნდა ჰქონდეთ თუ არა სტუდენტებს ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტები.

აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურაში არ არსებობს პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი. პროგრამის ლიდერებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულებამ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებიდან ამოიღო პრაქტიკა და ჩაანაცვლა იგი კურსით სახელწოდებით „პროექტის მენეჯმენტი“. პროგრამის ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ სტუდენტი ასრულებს პრაქტიკულ დავალებებს სასწავლო კურსის „პროექტის მენეჯმენტი“ ფარგლებში. თუმცა, ამას არ ადასტურებს აღნიშნული კურსის სილაბუსი.

პროგრამების სწავლის შედეგები ძირითადად ჩამოყალიბებულია „ბლუმის ტაქსონომიიდან“ აქტიური ზმნების გამოყენებით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირებაში გვხვდება ზოგადი ზმნები, როგორიცაა „აღიარებს“ (სწავლის მეორე შედეგი ბიზნესის ადმინისტრირების ქართულ და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამებში).

გარდა ამისა, ერთი შედეგის ფორმულირებისას გამოიყენება რამდენიმე ზმნა (მაგალითად, მესამე შედეგი საბაკალავრო პროგრამებში, მეხუთე და მეექვსე შედეგები სამაგისტრო პროგრამაში). სინამდვილეში, რამდენიმე განსხვავებული შედეგი წარმოდგენილია ერთ პარაგრაფში, როგორც „ერთი“ შედეგი. ეს გარემოებები მნიშვნელოვნად ართულებს და ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის სწავლის შედეგის მიღწევის პირდაპირ გაზომვას.

რეკომენდაცია: რეკომენდებულია, პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით, გამოიყენოს პირდაპირი შეფასება, მესამე დონის (განმტკიცების დონე) სასწავლო კურსების კონკრეტული შეფასების კომპონენტი / აქტივობა, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-საიტი https://iut.edu.ge/en/;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი;
- ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ;
- პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების კითხვარი;
- თვითშეფასების ჯგუფის/პროგრამის კომიტეტების/ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები;
- უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან შედარების/ბენჩმარკინგის შეხვედრების ოქმები/დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამების გარე ადგილობრივი და უცხოელი კოლეგიალური შეფასებები;

- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესები ;
- ელექტრონული სწავლების წესი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესი;
- საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების გაკვეთილების პოტენციური განრიგი/გაკვეთილების გრაფიკი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- სტუდენტების რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წლიური გეგმა;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ადგილზე ვიზიტისას ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და დარგის პარტნიორებთან;
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით, გამოიყენოს პირდაპირი შეფასება, მესამე დონის (განმტკიცების დონე) სასწავლო კურსების კონკრეტული შეფასების კომპონენტი / აქტივობა, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგებს.
- რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, სასწავლო კურსების შინაარსის, სტრუქტურის და პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისას, უნივერსიტეტმა გამოავლინოს და თავიდან აიცილოს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებაში არსებული უზუსტობები, კერძოდ, სწავლება / სწავლის, შეფასების მეთოდებში და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს, რომ სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკებში მითითებულია თუ როგორ ფასდება ჯგუფურ პროექტში სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი. შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, უნდა განახორციელონ თუ არა სტუდენტებმა ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტები კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად.
- რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს, რომ ერთი სწავლის შედეგის ჩამოყალიბებისას ზოგადი ზმნების ნაცვლად (მაგალითად "აცნობიერებს") გამოყენებული იყოს მაქსიმუმ ორი აქტიური ზმნა „ბლუმის ტაქსონომიის“ შესაბამისად. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპონენტი (მაგალითად, დამოუკიდებელი სასწავლო კომპონენტი "პრაქტიკა").

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): ვრცელდება მთელ კლასტერზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი აიიუთი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:
ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება - საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)
ბიზნესის ადმინისტრირება (ლოგისტიკა) - სამაგისტრო პროგრამა

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ინგლისურენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი, ქართულენოვანი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (ლოგისტიკა, მაგისტრატურა)	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან